გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 93
(11 447)

24 – 27 ნოემბერი, 2000 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



სერგეი ბალტაჩა: გიორგი ნემსაძე შოტლანდიის ერთ-ერთი რჩეული მოთამაშეა

5




4

# ირაკლი მეძმარიაშვილი – ქართული სპორტის ახალი თავკაცი!

ქვეყნის პრეზიდენტმა დააკმაყოფილა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მრავალგზის თხოვნა თანამდებობიდან წასვლის თაობაზე და იმავდროულად ამ სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელად დაინიშნა 38 წლის ირაკლი მეძმარიაშვილი, რომლისთვისაც არც სპორტია უცხო და ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის საკმაო გამოცდილებაც აქვს. ადრე იგი „ბურევესტნიკში" ხელბურთს თამაშობდა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების.წევრი იყო. უმუშავია სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის კრწანისის რაიონის გამგებლად, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნამდე კი თბილისის ვიცე-პრემიერის თანამდებობა ეკავა.

პრეზიდენტმა ახალი ხელმძღვანელის სპორტული საზოგადოებრიობისთვის წარდგენა პირადად ინება. აქვე იყო კახი ასათიანიც, რომლის დამსახურება პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა და მთელი ქვეყნისა და სპორტის გულშემატკივართა სახელით მადლობა გადაუხადა უმძიმეს წლებში ქართული სპორტის ტრადიციების შენარჩუნებისა და მიღწეული წარმატებებისთვის.

„სპორტული მიღწევები ქვეყნის და ერის საერთაშორისო ავტორიტეტის მოსახვეჭად უაღრესად პოპულარული საშუალებაა. ამიტომაც საქართველოსათვის ძალზე მნიშვნელოვანია სპორტის განვითარება, ამავე დროს იგი ყველაზე მოკლე გზაა ჯანმრთელობისაკენ" – თქვა პრეზიდენტმა.

შეხვედრაზე დაუფარავად ილაპარაკეს სპორტის დაფინანსებაში შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობაზე. პრეზიდენტმა გაიზიარა სპორტის მუშაკთა შეშფოთება და მოუწოდა ფინანსთა სამინისტროს კიდევ ერთხელ შეისწავლოს შესაძლო რესურსები. ამასთან, იმედი გამოთქვა, რომ მოსალოდნელი საერთაშორისო დახმარებების გარკვეული ნაწილი სპორტს მოხმარდება.

პრეზიდენტმა და სპორტის მუშაკებმა წარმატებები უსურვეს ირაკლი მეძმარიაშვილს ახალ და მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

# აგარის შაქარმა ქართული სპორტიც „დაატკბო"

როგორც ჩანს, საფუძველი ეყრება ქართული სპორტის სპონსორობის ჩვენთვის ახალ მიმართულებას — გამოჩენილ სპორტსმენთა ფულადი პრემიებით დაჯილდოებას მსხვილი საწარმოების მიერ. ჯერ კიდევ სიდნეიში ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ, აგარის შაქრის ქარხნის ერთ-

იხ. მე-7 გვ.

# გაისად ჩვენს ახალგაზრდებს დიდი გამოცდა ელით

**საქართველოს კალათბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ ფიბა-მ გამართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა ახალგაზრდა კალათბურთელთა შორის.**

ქართველი ***კადეტები*** შესარჩევი ეტაპის მატჩებს ჩაატარებენ გაისად, 4-8 აპრილს სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში. B ჯგუფში მათი მეტოქეები იქნებიან სლოვაკი, ფრანგი, გერმანელი, პოლონელი და იტალიელი კალათბურთელები (ფინალურ ტურნირში გადის 3 გუნდი).

ჩვენი ***ჭაბუკები*** საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრებს გამართავენ გაისად, 8-12 აგვისტოს უნგრეთის ქალაქ პაპაში. C ჯგუფში მათ გარდა ითამაშებენ უნგრეთი, მაკედონია, რუსეთი და ჩინეთი (შესარჩევ ტურნირში 3 გუნდი გადის).

საქართველოს ***ახალგაზრდული*** ნაკრები საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს ჩაატარებს გაისად, 11-15 ივნისს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში. D ჯგუფში ჩვენები ითამაშებენ მასპინძლებთან, იუგოსლაველებთან, გერმანელებთან, პორტუგალიელებთან და ინგლისელებთან ერთად (შესარჩევ ეტაპზე 2 გუნდი გადის).



# ნინო სალუქვაძე სუპერთასის პრიზიორი

მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპზე თავგამოჩენილმა და სიდნეიში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებმა და პრიზიორებმა მიუნხენში მსოფლიო სუპერთასის გათამაშებაში იასპარეზეს პნევმატური იარაღისა და სპორტული პისტოლეტის სროლაში. ნინო მესამე იყო პისტოლეტით ასპარეზობაში. სუპერთასი მოიპოვა ბულგარელმა ლოლიტა იარგვლევსკაიამ, მეორე ადგილზე გავიდა ოლიმპიური ჩემპიონი პნევმატური იარაღის სროლაში და პისტოლეტით ასპარეზობაში ვერცხლის პრიზიორი ჩინელი ტაუ ლუნა.

პნევმატური იარაღის სროლაში ნინო სალუქვაძე IV ადგილს დასჯერდა.

# სფფ-ს მადლობა კახი ასათიანს

როგორც ცნობილია, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის კახი ასათიანის თხოვნა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა დააკმაყოფილა.

რედაქციამ მიიღო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართვის წერილი კახი ასათიანისადმი. სფფ ულრმეს მადლობას უხდის სპორტის დეპარტამენტის აწ უკვე ყოფილ თავმჯდომარეს იმ სისტემატური თანადგომისა და მხარდაჭერისათვის, რასაც ის იჩენდა ამ ფედერაციის მიმართ ერთობლივი თანამშრომლობის წლებში. სწორედ ასეთი თანამშრომლობით გახდა შესაძლებელი სფფ-ს წინ ევლო რეფორმის გზით — ბოლო წლების მონაპოვარია ბავშვთა ლიგისა და რეგიონული ლიგის გათამაშების შემოღება.

სიდნეიში ოლიმპიურ თამაშებში მიღწეული წარმატებები ადასტურებს, რომ ქართული სპორტი სტრატეგიულად სწორი კურსით ვითარდებოდა კახი ასათიანის ხელმძღვანელობით. დამოუკიდებელმა საქართველომ კი პირველად მოიპოვა 6 მედალი ოლიმპიურ თამაშებში, რითაც თითქმის შეუძლებელი შეძლო.

სფფ იმედოვნებს, რომ კახი ასათიანთან მჭიდრო კონტაქტები კვლავაც გაგრძელდება, მიუხედავად იმისა თუ სად, რომელ სფეროში გააგრძელებს მოღვაწეობას, „თქვენი, როგორც წარსულში დიდი ფეხბურთელისა და სპორტული მოძრაობის შესანიშნავი ორგანიზატორის ცოდნა, უნარი და შესაძლებლობები მომავალშიც სასიკეთოდ უნდა წაადგეს ქართულ ფეხბურთს, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ეს მოვითხოვოთ თქვენგან, რადგან თქვენს დიდსულოვნებაში ეჭვი არასდროს შეგვიტანია" — ნათქვამია მიმართვაში.

# სამბისტები გენერლის მეგობარმა დააფინანსა

24-27 ნოემბერს უკრაინის დედაქალაქი კიევი მსოფლიოს 24-ე ჩემპიონატს უმასპინძლებს ჭიდაობა სამბოში. ეს ჩვენთვის, რა თქმა უნდა, კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი და შევეცადეთ ადრევე სათანადო თადარიგი დაგვეჭირა, რათა თავი არ შეგვერცხვინა, ქართულ-საჭიდაო ტრადიციების ღირსეული მემკვიდრეები ვყოფილიყავით და თავაწეულები დავბრუნებულიყავით ასპარეზობიდან. მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ უსახსრობის გამო ჩვენი ნაკრების გამგზავრება ჩემპიონატზე დიდი კითხვის ქვეშ აღმოჩნდა. ბედად, სრულიად შემთხვევით თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ჯონი ფირცხალაიშვილთან აღმოვჩნდით, რომელიც დაინტერესდა ჩვენი სამბისტების ყოფით და რომ გაიგო ქართველ ფალავანთა გაჭირვება, ჩვენს თვალწინ დაუკავშირდა კიეველ მეგობარ-ბიზნესმენს და სთხოვა კიევში ჩვენი გამგზავრება და ჩემპიონატში მონაწილეობა დაეფინან-

იხ. მე-7 გვ.





რობერტ ბაგოიანის ფოტოები

# თბილისში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი კიოკუშინ კარატეში და საქართველოს პირველობა კრივში

იხ. მე-7 გვ.

# კვლავ გივი ხაჩიძე აირჩიეს

გორში გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შიდა ქართლის ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო სესია.

სესიამ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარედ ზედიზედ მეორედ, ერთხმად აირჩია ცნობილი სპორტული მოღვაწე, გორის ეკონომიკური უნივერსიტეტის დოცენტი *გივი ხაჩიძე*.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა სეოკ-ის აღმასრულებელი დირექტორი დავით კიწნურაშვილი.

**გუშინ...**

**უეფას თასი 1/32 ფინალი, პირველი მატჩები:**

**ჰერტა (გერმანია) — ინტერი (იტალია) 0-0**

**ლოკომოტივი (რუსეთი) — რაიო ვალეკანო (ესპანეთი) 0-0**

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 9 თვე დარჩა

...სიდნეის ოლიმპიადამ დაადასტურა, რომ ამოუწურავია საქართველოს სპორტული პოტენციალი: ყოველ სოფელში და, რა თქმა უნდა, ქალაქში მოიძებნება ნამდვილად ჭეშმარიტი ტალანტი.

*ე. შევარდნაძე*

## გურამ ფარულავა გვირჩევს დავიმახსოვროთ ეს სახელები

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ გურამ ფარულავას სამწვრთნელო ქურაში თვალსაჩინო მიღწევების არაერთი ძალოსანი გამოიწრთო. დღესაც, მიუხედავად რთული პირობებისა, იგი ახალგაზრდა სპორტსმენთა დაოსტატებას ემსახურება და შეგირდებიდან გამორჩეულებიც ჰყავს, რომლებზედაც გამოცდილი მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებს. ფოტოზე თქვენ ხედავთ გ. ფარულავას თავის შეგირდებთან გელა ბაზაძესთან (მარცხნივ) და ავთანდილ ცერცვაძესთან ერთად. „ორივე ძალოსანი 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება, ხვალინდელი დღე მათ ეკუთვნით, დაიმახსოვრეთ ეს სახელები" — გვეუბნება გ. ფარულავა.

ახლა უფრო ახლოს გაგაცნობთ ორივე ძალოსანს:

**გელა ბაზაძე:** დაიბადა 1981 წელს საჩხერეში, წონა 77 კგ. სიმაღლე — 172 სმ. არის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის III კურსის სტუდენტი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი, პირველი ნომერია თავის წონაში, საქართველოს ორგზის ჩემპიონია, საერთაშორისო ტურნირზე დაიკავა II ადგილი. საუკეთესო შედეგი: ატაცი — 140 კგ, აკვრა — 165, ორჭიდში — 305 კგ.

**ავთანდილ ცერცვაძე:** დაიბადა 1983 წელს. წონა 160 კგ. სიმაღლე — 183 სმ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის II კურსის სტუდენტია, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი, ევროპის 1999 წლის III პრიზიორი ჭაბუკებში, საქართველოს ჩემპიონი — ახალგაზრდებში. საუკეთესო შედეგი: ატაცი — 145 კგ, აკვრა — 175, ორჭიდში — 320 კგ.



პრობლემა

# ქართული სპორტის ხსნის გზა არსაიდან ჩანს

2000 წლის 14 ივლისიდან გაზეთ „ლელოში" სისტემატურად იბეჭდება თენგიზ გაჩეჩილაძის წერილების სერია სათაურით „სპორტის მოძულების ტენდენციები საქართველოში". თუ ვინმეს არ წაუკითხავს იგი, ვურჩევ აუცილებლად გააკეთოს ეს, რომ თავადვე დარწმუნდეს ნამდვილი პროფესიონალის ხედვაში ჩვენი სპორტის დღევანდელი სავალალო მდგომარეობისა და მისი უიმედო პერსპექტივის შესახებ. „სპორტის მოძულების ტენდენციებმა საქართველოში ნელა აიდგა ფეხი, ჩვენდა საუბედუროდ, ხელის წაშველებაც არ დაგვიკლია, თუმცა, ვინც ეს გააკეთა, შეიძლება არც კი მოელოდა ასეთ შედეგამდე თუ მივიდოდა საქმე. არადა, მივიდა. ახლა ამას ყველა ხედავს, გრძნობს, განიცდის კიდეც, მაგრამ ყველაზე სავალალოდ კი მაინც ის გვეჩვენება, ხსნის გზა რომ არსაიდან ჩანს" – წერს ავტორი

დაგეთანხმებით, ბატონო თენგიზ! სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ქართული სპორტის ხსნის გზა არსაიდან ჩანს.

უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში სისტემატურად ვაქვეყნებ სტატიებს და სიტყვითაც გამოვდივარ ქართული სპორტის პრობლემებზე. ღია წერილითაც მივმართე საქართველოს პრეზიდენტს იმ უმძიმესი მდგომარეობის შესახებ, რომელიც სპორტის სფეროშია შექმნილი, მაგრამ რა. წერე და იკითხე. აბა სხვა რა უნდა ვიფიქრო, როდესაც 2001 წლის ბიუჯეტი წარმოადგინეს განსახილველად.

ყველა საქმეში თავი და თავი ფინანსებია, ეს ყველას კარგად მოეხსენება. ახალს არაფერს ვამბობ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ ჩემგან უკვე მრავალჯერ ნათქვამსა და დაწერილს. ფინანსების გარეშე ვერ მოგვარდება მოზარდი თაობისათვის ზრუნვის, მასობრივი სპორტის, დიდი სპორტის და მისი მატერიალური უზრუნველყოფის, სპორტსმენთა და მწვრთნელთა საყოფაცხოვრებო და სავარჯიშო პირობების, სპორტული ბაზების მოვლა-პატრონობის საკითხები და ყოველივეს მეცნიერული უზრუნველყოფა. კიდევ ერთხელ ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ **ფიზიკური აღზრდა და სპორტი არამწარმოებლური დარგია და მას სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს.** რამდენი წელია დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და სპორტის სფეროსათვის ფინანსების გამოყოფაში ერთი თეთრის მომატებასაც ვერ ველირსეთ. მომატებას კი არა, ისეთი კატასტროფული სისწრაფით გვაკლდება საბიუჯეტო ხარჯები, რომ ასე თუ გაგრძელდა, სპორტის სფეროს ჩანაწერიც კი საერთოდ გაქრება ბიუჯეტში. გასაოცარი რამ ხდება ჩვენს თავს. ბოლო 6 წლის მანძილზე ოთხი ფინანსთა მინისტრი გამოიცვალა საქართველოში და სპორტისათვის სულ უარესი და უარესი მინისტრი მოვიდა (საკვირველია ამ ახალგაზრდა ხალხს ასე რამ შეაძულა სპორტი). ჩვენი დარგისათვის დიდებული მინისტრი ყოფილა ბატონი დავით იაკობიძე, რომლის წასვლის შემდეგ ჩვენი საქმეებიც უკუღმა წავიდა.

არ დამავიწყდება 1996 წლის სექტემბერი, როცა საქართველოს პარლამენტი იღებდა კანონს „სპორტის შესახებ". მაშინ კანონის 22-ე მუხლის მეორე პუნქტში ასეთი ჩანაწერი იყო: „სპორტის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები ცალკე მუხლით აისახება სახელმწიფო ბიუჯეტში და უნდა შეადგენდეს მის არანაკლებ 2%-ს. აღნიშნულმა მუხლმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამიტომ, ერთმა პარლამენტარმა, სპორტისათვის ნამდვილად თავდადებულმა კაცმა, ბატონმა ავთანდილ საყვარელიძემ მოითხოვა აღნიშნული პუნქტის კენჭისყრაზე დაყენება და პარლამენტარებს მოუწოდა ხმა მიეცათ მისთვის. მე, როგორც თვითმხილველი ამ ამბისა, ვუყურებდი როგორ დადიოდა რიგებს შორის პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი კოპალეიშვილი და აფრთხილებდა დეპუტატებს ხმა არ მიეცათ აღნიშნული მუხლისათვის. საბოლოოდ, გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. არ ცხრებოდა ბატონი ა. საყვარელიძე და იგი ხელმეორე კენჭისყრას ითხოვდა. საქმეში პარლამენტის თავმჯდომარე ბ-ნი ზურაბ ჟვანია ჩაერია და დააწყნარა პარლამენტარები – კოლეგებო, ეს არც ისე ძნელი საქმეა, თუ კანონში „სპორტის შესახებ" ვერ ჩაიდო ორი პროცენტი, ჩვენ იგი შეგვიძლია გავითვალისწინოთ ბიუჯეტის მიღების დროს. ამ განცხადების შემდეგ რამდენიმე დღეში ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა 1997 წლის ბიუჯეტი, რომელშიც სპორტისათვის გამოყოფილი თანხა ითვალისწინებდა ბიუჯეტის 0,3%-ს, იმ პერიოდში სპორტი იყო ერთადერთი სფერო მთელ პროექტში, რომელსაც ოდნავაც არ შეუცვლია პროცენტული წილი 1996 წლის ბიუჯეტთან შედარებით.

ეკონომიკაში არსებობს ვაგნერის კანონი, რომლის თანახმადაც, თუ ყოველი შემდგომი წლის ხარჯები გარკვეული ღონისძიების ხაზით არ აღემატება წინა წლის ხარჯებს, ის ღონისძიება კვდება.

ეტყობა, ჩვენს ფინანსისტებს ქართული სპორტი სასიკვდილოდ გაუწირავთ. მაშ როგორ ავხსნათ მათ მიერ 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სპორტისათვის გამოყოფილი თანხის რაოდენობა. ვერ გეტყვით, რითი იხელმძღვანელეს ამ პროექტის ავტორებმა და რა კრიტერიუმებით ჩაწერეს ეს ციფრები, მაგრამ იგი შემაშფოთებელია, მე ვიტყოდი, დასასრულია. საქართველოში სპორტი აღარ იქნება. გთხოვთ დაუკვირდეთ ქვემოთ მოყვანილ ციფრებს.

1996 წელს ბიუჯეტით სპორტზე დამტკიცებული იყო 3 მილიონ 424,6 ათასი ლარი. 2000 წლის მარტის კანონით იგი უდრიდა 3 მილიონ 511,6 ათას ლარს, ხოლო ივლისის სეკვესტრირის შემდეგ მან შეადგინა 2 მილიონ 188,1 ათასი ლარი. 2001 წლისათვის კი სპორტის სფეროსათვის მთლიანად გამოყოფილია 1 მილიონ 53 ათასი ლარი. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნული თანხიდან 406,3 ათასი ლარი გამოყოფილია ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელზე, 259,7 ათასი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაზე, 12,1 ათასი ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტზე და მხოლოდ 327,2 ათასი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის, საიდანაც რესპუბლიკური მასშტაბის სპორტული ღონისძიებების ჩატარება და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის 262 ათასი ლარია გამოყოფილი.

მე მივმართავ ამ ციფრების ავტორებს თხოვნით: გაანაწილონ ეს თანხა 2001 წელზე ისე, რომ მონაწილეობა მივიღოთ იმ შეჯიბრებებში, რომელსაც საერთაშორისო სპორტული ფედერაციები ატარებენ და რომლის წევრებიც ჩვენ ვართ. ზემოთ აღნიშნული თანხა ერთი სერიოზული ტურნირის ჩატარებას არ ეყოფა. ასევე აღმაშფოთებლად მეჩვენება კანონპროექტში ზოგიერთი პუნქტი. მაგალითად: ნაკრები გუნდების სპორტული ბაზებით უზრუნველყოფის პროგრამისათვის არც ერთი თეთრი არ არის გამოყოფილი. ასევე ნულებია გრაფებში – პერსპექტიულ სპორტსმენთა დამატებითი კვება და სპორტული ინვენტარისა და ფორმის შეძენა. არავითარი დაფინანსება, როგორც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, ისე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მივლინებებზე.

14 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტში გაიმართა 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოსმენა, სადაც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვ. გოგოლაშვილმა დაგვაწყნარა და გვითხრა, ასეთი დაბალი დაფინანსება ბიუჯეტში იმიტომ არის, რომ თქვენ 2-3 მილიონი დამატებით მოგეცემათ ლატარიების გათამაშებიდან მიღებული შემოსავლებიდანო. საკვირველია, რომელ შემოსავლებზეა ლაპარაკი, როცა ჯერ სრულყოფილი კანონპროექტი არ მომზადებულა და როდის იქნება წარდგენილი პარლამენტში დასამტკიცებლად არავინ იცის. არავინ იცის აგრეთვე თუ კანონის მიღების შემდეგ, როდის და როგორ ამუშავდება ლატარიებიდან მიღებული შემოსავლების გადაცემა სპორტისათვის. დავუშვათ ლატარიების საკითხი ვერ მოგვარდა იმ უმოკლეს ვადებში (რაშიც ეჭვი არ მეპარება), რომელსაც ფინანსთა სამინისტრო ფიქრობს, მაშინ რა ვქნათ? სამი მილიონიდან სამას ათასამდე რომ ჩამოიყვანეს დაფინანსება, როგორ მოიქცეს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი? რა პასუხი გასცეს სპორტსმენთა, მწვრთნელთა და, საერთოდ, სპორტის სფეროში დასაქმებულთა იმ უდიდეს არმიას, რომელსაც წლების განმავლობაში არ მიუღიათ ხელფასები და ახალი ბიუჯეტით კი, საერთოდ, განწირულები არიან?

მინდა ვკითხო ყველას, ვისაც ეხება ბიუჯეტთან მუშაობა: რომელ დარგს დააკლდა პროცენტულად იმდენი, რამდენიც სპორტს? საკვირველია! 1999 წელთან შედარებით, მთლიანად სპორტის სფეროს თითქმის 4-ჯერ ნაკლები ბიუჯეტი აქვს, ხოლო უშუალოდ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, ათჯერ ნაკლები. შეიძლება იარსებოს სახელმწიფო სტრუქტურამ, რომელსაც 1000%-ით შეუმცირებენ ბიუჯეტს? ეს არის სახელმწიფოს ზრუნვა სპორტზე? არ ვიცი! ჯერ პარლამენტში არ შესულა დასამტკიცებლად ბიუჯეტის კანონი და გულის რაღაც ნაწილში კიდევ მაქვს იმედი, რომ ჩვენი პარლამენტარები არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ, რომ სპორტი ასე გაიწიროს და სალად მიუდგებიან აღნიშნული უმძიმესი მდგომარეობიდან ქართული სპორტის გამოყვანის საქმეს.

**გურამ ძაბანია,**
პროფესორი

## ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

## მეგობრობის გარბენი

1989 წლიდან მჭიდრო მეგობრული და სპორტული კავშირები დამყარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და გუბერნიებს შორის. ახლახან თურქეთის რესპუბლიკის გუბერნიის ინიციატივით თურქეთის რესპუბლიკის ქ. ართვინის გუბერნიის ახალგაზრდობისა და სპორტის დეპარტამენტმა, აჭარის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად, სარფი-ხოფას (თურქეთი) საავტომობილო ტრასის გახსნასთან დაკავშირებით, მოაწყო ორმხრივი მეგობრული ოლიმპიური მძლეოსნური გარბენი. ჩვენი სპორტსმენები სამ ასაკობრივ ჯგუფში ასპარეზობდნენ მარშრუტით კვარიათი-სარფი (ხელვაჩაურის რაიონი). მონაწილეობდა ქ. ბათუმის საწარმო-დაწესებულებების, საშუალო — სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 300-ზე მეტი სპორტსმენი. აღსანიშნავია, რომ ართვინის გუბერნიის ხელმძღვანელობამ ჩვენს სპორტსმენებს საჩუქრად გადასცა სპორტული მაისურები, რომლებითაც იასპარეზეს. 13-20 წლამდე გოგონათა შორის გაიმარჯვა ქეთინო კუპატაძემ (მძლეოსნობის სპორტსკოლა), ჭაბუკთა შორის — სამუელ ხაჩიანმა (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ქალებს შორის (21-35 წლამდე) ყველას აჯობა ირმა ზურაბიანმა (ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური კოლეჯი), მამაკაცებში — კახა ვაჩეიშვილმა (სახელმწიფო უნივერსიტეტი), 36 წ. და ზევით გაიმარჯვეს: ქალებს შორის — ნინო აბაშიძემ (სახელმწიფო პედაგოგიური კოლეჯი), მამაკაცებს შორის — ვაჟა ტალიაშვილმა (სარფის საშუალო სკოლა).

თურქეთის რესპუბლიკის კროსმენები ასპარეზობდნენ მარშრუტით ხოფა-სარფი (თურქეთი). სარფის ნეიტრალურ ზონაში გაიმართა აჭარისა და ართვინის სპორტსმენების მეგობრული შეხვედრა.

გამარჯვებული აჭარელი სპორტსმენები მიიწვიეს ხოფაში. სადაც აჭარისა და ართვინის გუბერნიის სპორტსმენებს ფასიანი საჩუქრები და მედლები გადასცეს აჭარის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ თენგიზ ბოლქვაძემ და ართვინის გუბერნიის ახალგაზრდობისა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ნაჯი ნუმანოღლიმ.

**კარლო გიორგაძე,**
გარბენის მთავარი მსაჯი.

## შიდა ქართლში

ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრებები შიდა ქართლში, მიუხედავად გვიანი შემოდგომისა, სისტემატურად ტარდება. ამას წინათ, ქარელის რაიონის სოფ. ფცაში გუნდური პირველობა გაიმართა. რომელშიაც კასპის, გორის, ხაშურის და ქარელის რჩეული ფალავნები ასპარეზობდნენ. შეჯიბრებას ამ რაიონების გამგეობებისა და სპორტის ხელმძღვანელი მუშაკებიც ესწრებოდნენ სამხარეო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. ასპარეზობა წარსულში ცნობილი ფალავნის დურმიშხან ბერუაშვილის ხსოვნას მიეძღვნა და ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. გორელებისა და კასპელების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 4-4. მაგრამ, ვინაიდან ცნობილმა მძიმე წონის ფალავანმა ჯ. ქამხაძემ დანაპირები ვერ შეასრულა და საასპარეზოდ ფცაში არ გამოცხადდა, კასპელებს დამარცხება ჩაეთვალათ. ქარელელებმა აჯობეს ხაშურელებს — 8:0. ფინალში კი გორის ნაკრებმა აჯობა ქარელის გუნდს 5:3.

**კახა კახიშვილი,**
კასპი

გამოიწერეთ ლლ 2001 წლისათვის!

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

# რა დააშავა მაყურებელმა?

თბილისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.
**ლოკომოტივი (თბ) – გურია-ლოკომოტივი-2 (ლანჩხ) 5-0 (პირველი მატჩი 1-0).**
**ლოკომოტივი:** ასლანაძე, გილაური, ხიზანიშვილი (ლ. ჭელიძე, 46), აბრამიძე, თოდუა, ბალაშვილი (აფციაური, 46), კვარაცხელია (დ. არჩვაძე, 46), ჭიჭველიშვილი, რუსია, გოგიჩაიშვილი, ხუროძე.
**გურია:** მერკვილიშვილი (გ. შეყრილაძე, 65), ფაცურია, პატარაია, ჯუღელი, ლორია, სულაკაძე, ჯღარკავა (დ. მინაშვილი, 46), ჩხეტია, ენდელაძე (ცინწურაშვილი, 46), ვოსკანოვი, კირკიტაძე.
***გოლები:*** ხუროძე (9, 45, 52), რუსია (14), გილაური (42).
***მსაჯი:*** დავით სანაია (სოხუმი)

აბა, რა მოგახსენოთ. კრივში აქვთ წესად, როდესაც ერთი მეტოქე აშკარად სჯობნის მეორეს, სუსტის მწვრთნელი რინგზე თეთრ პირსახოცს გადმოაგდებს ხოლმე. ამ მატჩში გურულთა თავკაცს დანებების სიგნალი, ალბათ, პირველი 15 წუთის გასვლის შემდეგ უნდა მიეცა, იმდენად აშკარა იყო რევაზ ძოძუაშვილის შეგირდების უპირატესობა. როდესაც ანგარიში 5-0 გახდა, „ლოკომოტივმა" აშკარად დაინდო თავისი ფარ-კლუბი და მეტი გოლი აღარ გაიტანა. მოკლედ რომ ვთქვათ, რკინიგზელებმა მსუბუქად წაივარჯიშეს, ხოლო მათმა მეტოქეებმა თბილისში ჩამოსვლით ვალი მოიხადეს. აი, ის მცირერიცხოვანი მაყურებელი კი, რომელიც ამ მატჩს დაესწრო, აშკარად გაწბილებული სტოვებდა სტადიონს: მოვიდა ფეხბურთის სანახავად და დახვდა მასხარაობა, მერე გვიკვირს, რატომ არ დადის ხალხი თამაშებზე...

და კიდევ ერთი. „ლოკომტივსა" და „გურიას" თავიანთ ლიგებში სალიდერო პოზიციები უკავიათ. ამგვარად, შესაძლებლობა მოგვეცა შეგვედარებინა უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდების დონე. როგორც ხედავთ, განსხვავება საკმაოდ დიდია და ეს არ შეიძლება არ გვაღელვებდეს.

**ჯემალ ჭიკაშვილი**




## 1/8 ფინალი

**მერვედფინალი. საპასუხო მატჩები**

დინამო (ბათუმი) — **ტორპედო (ქუთაისი)** 2-2 (0-2)
0-1 კვეტენაძე (13), 0-2 ასათიანი (26), 1-2 ყულეჯიშვილი (60), 2-2 თედორაძე (80).
**მერანი-91 (თბილისი)** — თბილისი 1-1 (1-0)
1-0 დევიძე (30), 1-1 მანჯარაული (68).
გორდა (რუსთავი) — **დილა (გორი)** 1-1 (0-2)
0-1 ციცქიშვილი (51), 1-1 ივეჩიანი (73).
მეტალურგი (ზესტაფონი) — **კოლხეთი-1913 (ფოთი)** 1-4 (0-6)
0-1 ჭანტურიძე (24), 1-1 მოდებაძე (27), 1-2 ჭანტურიძე (48), 1-3 მალლაკელიძე (49), 1-4 თედეევი (81).
თსუ — **სამგურალი (წყალტუბო)** 0-0 (0-2)
სიონი (ბოლნისი) — **დინამო (თბილისი)** 2-0 (0-4)
მოსეშვილი (48,90).
დინამო (ზ.) — **ვიტ ჯორჯია (თბილისი)** 1-4 (0-3)
0-1 ზ. გვაზავა, 0-2 თაყაძე, 1-2 ონიანი, 1-3 ზ. გვაზავა, 1-4 მელქაძე.
*მეოთხედფინალის კენჭისყრა — 27 ნოემბერს.*

# შამლაყინწობის შედეგი

გუშინწინდელი სადისციპლინო კოლეგიის მთავარი თემა საფეხბურთო კლუბ „მერანის" ვიცე-პრეზიდენტის ანზორ მამალაძესა და მსაჯ ავთანდილ შალამბერიძეს შორის წარმოშობილი კონფლიქტი იყო. მხარეთა მოსმენის შემდეგ „მერანის" ხელმძღვანელს კოლეგიამ ასეთი სასჯელი გამოუტანა — სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და 500 ლარი ჯარიმა. უთანხმოების მიზეზებზე ლაპარაკი საჭირო არც არის, იგი სპორტული საზოგადოებრიობისათვის ისედაც ცნობილია. უბრალოდ, ერთს ვიტყვით, ნებისმიერი გუნდის ხელმძღვანელს, მით უფრო ისეთ გამოცდილ სპეციალისტს, როგორიც ანზორ მამალაძეა, მეტი თავშეკავება მართებს.

კოლეგიამ უმაღლესი ლიგის კლუბის კიდევ ერთ სპეციალისტს — რუსთავის „გორდას" მთავარ მწვრთნელს იასონ ალადაშვილს მსაჯის შეურაცხჰყოფისათვის და კოლეგიაზე გამოუცხადებლობის გამო 200 ლარი ჯარიმა დააკისრა.

სასჯელებს ვერც ფეხბურთელები გადაურჩნენ — თითო თამაშს გამოტოვებენ: ლევან კვიციანი (თსუ). ვასილ თერაზიშვილი (35-ე ს.სკ.), სერგო ორბელაძე („გურია-ლოკ2"), გიორგი ქორიძე („ვიტ-ჯორჯია").

მძიმე დანაშაულებს გაცილებით მძიმე სასჯელებიც მოჰყვა. მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ბორჯომელი ელისაშვილი 3 თამაშითაა დისკვალიფიცირებული და 150 ლარს გადაიხდის.

„დილა" — „იბერიას" მატჩში მეტოქე გუნდების ფეხბურთელები ირაკლი სანიკიძე და ვალერიან კოტორაშვილი ერთმანეთის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის 4-4 თამაშს გამოტოვებენ და 200-200 ლარს გადაიხდიან. ამავე მატჩში მაყურებლის მიერ ნასროლი ქვა გვერდით მსაჯს ჯვარიძეს მოხვდა, რის გამოც მატჩი რამდენიმე წუთით შეწყდა. გორის სტადიონის ადმინისტრაცია უკანასკნელად გააფრთხილეს და 200 ლარის ჯარიმას გადაახდევინებენ. მსგავსი ინციდენტის განმეორების შემთხვევაში „დილას" ნეიტრალურ სტადიონზე მოუწევს თამაში.

ერთმანეთის შეურაცხყოფისთვის ლანჩხუთელი შველიძე და ხობელი აიანიდი 2-2 თამაშით არიან დისკვალიფიცირებული.

მოკლედ, იმის თქმა შეიძლება, რომ ქართულ ფეხბურთში მწვრთნელების, კლუბების პრეზიდენტებისა და ფეხბურთელების მიერ მსაჯების ფიზიკურ თუ სიტყვიერ შეურაცხჰყოფას ბოლო არ უჩანს. უმჯობესია თითოეულმა მათგანმა თავის კონკრეტულ საქმეს, ფეხბურთის თამაშს, კლუბების მატერიალურ თუ სტრუქტურულ გაუმჯობესებას მიხედოს.

**საბა ლომინაძე**

## სფფ-ს საგანგებო კომიტეტი უფლებას იტოვებს...

**სფფ-ს საგანგებო კომიტეტი უფლებას იტოვებს დაუბრუნდეს სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ს.კ. „მერანის" ვიცე-პრეზიდენტის ა. მამალაძის სასჯელის თაობაზე. საგანგებო კომიტეტი თვლის, რომ მსგავსი ინციდენტი, რომელსაც ანალოგი არა აქვს, უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებს.**

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ანონსი
უმაღლესი ლიგა.
XV ტური

**სიონი — დინამო (ბთ)**
**გორდა — დილა**
**იბერია — მერანი**
**დინამო (თბ) — ვიტჯორჯია**
**ტორპედო — ლოკომოტივი**
**თსუ — კოლხეთი-1913**

# ყველაფერს ნათელი მოეფინება

ხვალინდელ ტურში გუნდები ისე დაწყვილდნენ, რომ თითოეულ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პირველი ექვსეულის პირველი ოთხი გუნდი ერთმანეთში გაარკვევს ურთიერთობას.

თბილისის „დინამო" „ვიტჯორჯიას" უმასპინძლებს, „ტორპედო" — „ლოკომოტივს". ეს მატჩები, ალბათ, საბოლოოდ მიუჩენენ თითოეულ გუნდს კუთვნილ ადგილს. სათასო მატჩში დამარცხებას თუ არ ჩავთვლით, „დინამო" ჩინებულად ასპარეზობს და ვიტელებს სეზონის ურთულესი მატჩი ელით. თუ ბოლო შედეგებს გავითვალისწინებთ, „დინამო" რევანშისთვის მზადაა, თუმცა, არც ვეტერინარები არიან ჯაბანნი. ეროვნულზე, წესით, ჩინებული მატჩის მოწმენი უნდა გავხდეთ, ამის ყველა წინაპირობაა. მძაფრი და საინტერესო ორთაბრძოლა ქუთაისშიც იქნება. გუნდებს მხოლოდ ერთი ქულა აშორებთ ერთმანეთისგან. „ტორპედომ" პირველ წრეში დაამარცხა „ლოკომოტივი". გუნდებს შორის თანაფარდობა არ დარღვეულა, ორივე პირველობისთვის იბრძვის და შეხვედრის ინტრიგაც ამაში მდგომარეობს.

ზღვისპირელი დინამოელები და ფოთის „კოლხეთი" გასვლით შეხვედრებს გამართავენ, შესაბამისად, ბოლნისში და მცხეთაში. დაძაბულობა არც ამ მატჩებს დააკლდება. „სიონმა" თუ მოიგო, მეტოქეს წამოეწევა, სტუდენტებს კი ფაქტობრივად უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვთ, კიდევ ერთი მარცხი მათ იმედებს საბოლოოდ დაასამარებს.

დაძაბულობა მეორე ექვსეულშიც საკმაოა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქაც ორი მატჩი იწვევს: „გორდა" უშუალო კონკურენტს „დილას" მიიღებს. „მერანი" კი სამტრედიელებს სტუმრად ეთამაშება. ერთი რამ უდავოა, საშობაო არდადეგებამდე ორი ტური კიდევ რჩება, მაგრამ ხვალინდელი ტური ბევრ რამეს განსაზღვრავს, იმასაც გავიგებთ თორმეტი კლუბიდან, რომელი შეხვდება ახალ წელს თავაწეული და კარგ ხასიათზე.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლოკომოტ.** | **14** | **12** | **0** | **2** | **30-7** | **36** |
| **ტორპედო** | **14** | **11** | **2** | **1** | **23-5** | **35** |
| **დინამო (თბ)** | **14** | **10** | **1** | **3** | **35-13** | **31** |
| **ვიტჯორჯია** | **14** | **8** | **4** | **2** | **21-7** | **28** |
| **კოლხ.1913** | **14** | **6** | **2** | **6** | **14-14** | **20** |
| **დინამო (ბთ)** | **14** | **6** | **1** | **7** | **17-18** | **19** |
| სიონი | 14 | 4 | 3 | 7 | 11-21 | 15 |
| მერანი | 14 | 3 | 6 | 5 | 12-17 | 15 |
| თსუ | 14 | 4 | 1 | 9 | 15-27 | 13 |
| დილა | 14 | 3 | 3 | 8 | 9-22 | 12 |
| გორდა | 14 | 2 | 6 | 6 | 10-20 | 12 |
| იბერია | 14 | 0 | 1 | 13 | 3-29 | 1 |

# საპელაციო კომიტეტის მეორე შეკრება

ამ ორი წლის განმავლობაში სულ მეორედ, 22 ნოემბერს, შეიკრიბა სფფ-ს სააპელაციო კომიტეტი. შეკრების მიზეზი გახდა „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელების ედიკ საჯაიასა და ჯაბა მუჯირის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია, რომელიც სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიამ გამოიტანა. კომიტეტის სხდომას ესწრებოდნენ სააპელაციო კომიტეტის წევრები: გ. ჯიშიაშვილი (საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწე) და ვ. ელოშვილი (ვეტერანი ფეხბურთელი), თავად დასჯილი ფეხბურთელები და ს.კ. „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობა. სხდომის დაწყებამდე მათ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს კომიტეტის ახლახან უდროოდ გარდაცვლილი თავმჯდომარის, დიდუბის რაიონის პროკურორის თემურ ნამიჭეიშვილის ხსოვნას.

მატჩის ოქმში (არბიტრი ა. შილაკაძე) მსაჯი მიუთითებს, რომ მას შეეშალა და საჯაიასთვის პირდაპირ წითელი ბარათი უნდა ეჩვენებინა, ნაცვლად მეორე ყვითლისა. გარდა ამისა, „ვიტ ჯორჯია" შუამდგომლობდა ახალგაზრდული ნაკრების წევრ ფეხბურთელებს (რომელთაც 2 მატჩი უკვე გამოტოვეს), რომ მათთვის დაერთოთ ნება გაეგრძელებინათ ჩემპიონატში თამაში.

სხდომამ საათზე მეტხანს გასტანა და მძაფრი კრიტიკისა და ვნებათაღელვის ფონზე ჩაიარა. მართლაც, ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები პრაქტიკულად ყველა სანაკრებო თუ საკლუბო ტურნირში წითელი და ყვითელი ბარათების დიდ რაოდენობას იღებენ, რითაც ძლიერ ზარალდება კლუბები, ნაკრებები და, რა თქმა უნდა, ფედერაციის ბიუჯეტიც. ამის ფონზე მართლაც გასაკვირია „ვიტ ჯორჯიას" ახალგაზრდული კოლექტივის „პირველობა" დისციპლინის დარღვევების მხრივ — 3 გაძევება და 29 გაფრთხილება 14 ტურში! მაშასადამე, კლუბში სათანადო დონეზე არ დგას აღმზრდელობითი მუშაობა.

სააპელაციო კომიტეტმა ყველა ნიუანსის გათვალისწინებით შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

— ჯ. მუჯირს და ე. საჯაიას შეუმცირდეთ დისკვალიფიკაციის ვადა 3-დან 2 მატჩამდე, ამასთან, ისინი პირობით არიან დისკვალიფიცირებულნი სეზონის ბოლომდე.

— ზემოაღნიშნული ფეხბურთელები გადაიხდიან სადისციპლინო კოლეგიის მიერ გამოტანილ ჯარიმას 150-150 ლარს.

— მკაცრად იქნას გაფრთხილებული ს.კ. „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობა და პირადად მთავარი მწვრთნელი ვ. ხაჩიძე, რათა გუნდში გააძლიეროს აღმზრდელობითი მუშაობა;

— ს.კ. „ვიტ ჯორჯიას" მიეთითოს, დროულად დაფაროს აქამდე არსებული საჯარიმო დავალიანებები.

— სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარეს ა. მილჩენკოს მოსთხოვეს გააძლიეროს მუშაობა მსაჯებთან ოფიციალური დოკუმენტაციის სათანადოდ გასაფორმებლად.

**მამუკა კვარაცხელია,**
სფფ-ს პრეს-ატაშე.

# მსაჯები და ინსპექტორები

**სიონი (ბოლნისი) — დინამო (ბათუმი):** მთავარი მსაჯი — მალაღურაძე, ასისტენტები — ბრეგვაძე, სილაგავა, მეოთხე მსაჯი — კრიჭაშვილი, ინსპექტორი — მ. კობიაშვილი.

**გორდა (რუსთავი) — დილა (გორი):** მთავარი მსაჯი — კვარაცხელია, ასისტენტები — მიქელაძე, ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი — ელოევი, ინსპექტორი — ნ. კაკულია.

**იბერია (სამტრედია) — მერანი-91 (თბილისი):** მთავარი მსაჯი — დოგრაშვილი, ასისტენტები — კიკაჩეიშვილი, რუსიშვილი, მეოთხე მსაჯი — გაბრიაძე, ინსპექტორი — მ. ლაცაბიძე.

**დინამო (თბილისი) — ვიტ ჯორჯია (თბილისი):** მთავარი მსაჯი — შილაკაძე, ასისტენტები — ელიკაშვილი, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი – ა.შალამბერიძე, ინსპექტორი — გ. ფირცხალავა.

**ტორპედო (ქუთაისი) — ლოკომოტივი (თბილისი):** მთავარი მსაჯი — მესხი, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — სანაია, ინსპექტორი — ა. მილჩენკო.

**თსუ-არმაზი (კოლხეთი-1913 (ფოთი):** მთავარი მსაჯი — ანიაშვილი, ასისტენტები — დოლიძე, ჭვარიძე, მეოთხე მსაჯი — მაისურაძე. ინსპექტორი — ა. დურსუნიში.

# უსიამოვნო ამბები ხორვატიიდან

ესპანეთი, ხორვატია, საქართველო – ამ ქვეყნების 18-წლამდელთა ნაკრები გუნდები ხორვატიის ქალაქ პორჩაში არკვევენ იმ ერთადერთ კოლექტივს, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. როგორც ვიტყობინებოდით, პირველ შესარჩევ მატჩში ჩვენი ჭაბუკები ხორვატებთან დამარცხდნენ 0-2. სამწუხაროდ, მეორე შეხვედრაშიც ესპანელებთან ასეთივე ანგარიშით წავაგეთ. ორი მატჩის ჯამში ქართველმა ფეხბურთელებმა 9 (!) ყვითელი ბარათი „დაიმსახურეს", რაც, ვფიქრობთ, განსჯის საგნად უნდა იქცეს.

შესარჩევ ჯგუფში გამარჯვებული დღეს გაირკვევა, ხორვატია ესპანეთს დაუპირისპირდება.

## სპეციალისტი განმარტავს

**ეროვნულ ჩემპიონატში ყველა ლიგაში, ნებისმიერი რანგის მატჩის შემდეგ დიდ ვნებათაღელვას იწვევს მსაჯობის ხარისხი და ვისაც ეს ევალება თუ არა, თავისებურ შეფასებას აძლევს მსაჯების მოქმედებას. არადა, ბევრმა არც იცის, რომ მსაჯის შეფასება მხოლოდ მატჩის ინსპექტორის საქმეა.**

**ამ საკითხის განმარტება ვთხოვეთ ფიფას ყოფილ არბიტრს, სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის საექსპერტო-საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარეს, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ინსპექტორს ქარლო ყრუაშვილს:**

# მსაჯის შეფასება მხოლოდ მატჩის ინსპექტორის საქმეა



— ხშირად გაიგებთ, მსაჯმა დაუშვა, არ დანიშნა პენალტი, უმართებულოდ გააძევა ფეხბურთელი, დააფიქსირა ან არ დააფიქსირა თამაშგარე მდგომარეობა და ა. შ., რაც შემდეგ ფეხბურთელების, მწვრთნელების, კლუბების პრეზიდენტების და გულშემატკივრების განსჯის საგანი ხდება. წესით, მინდორზე მსაჯის გადაწყვეტილებების სისწორეს, მთლიანად ბრიგადის მუშაობას, შეფასებას აძლევს მხოლოდ მატჩის ინსპექტორი, რაც აღინიშნება მის პატაკში.

პატაკი შედგება რამდენიმე პუნქტისაგან:

1. მსაჯის პირადი თვისებები.

2. ფიზიკური კონდიციები (ციფრობრივი შეფასება მრავლდება 2-ზე).

2.1. თამაშის წესების ინტერპრეტაცია X 3 (თამაშის ხარისხი).

2.2. მოვალეობის შესრულება X2

2.3. დისციპლინის კონტროლი (გაძევება, გაფრთხილება) X 2

თითოეული პუნქტი 1-10 ბალით ფასდება, საერთო შეფასება იყოფა 10-ზე. ასე დგინდება საბოლოო შედეგი;

მატჩის სირთულის ხასიათი ასე აღინიშნება: 0 — ადვილი, 1 — ნორმალური. 2 — რთული, 3 — ძალიან რთული. ასეთი მატჩის მსაჯობისას არბიტრს ემატება 0,5 ბალი, როცა კარგად წარმართავს შეხვედრას.

თუ მსაჯმა დაუშვა ისეთი შეცდომა, რომელმაც იმოქმედა მატჩის შედეგზე, არბიტრს ეწერება ნიშანი 4. ეს ციფრი არაფერზე იყოფა და არც მრავლდება.

პატაკში სიტყვიერად აღინიშნება რა იყო დადებითი ან უარყოფითი მატჩის დროს. ბრიგადის მოქმედება, გაფრთხილებათა და გაძევებათა სისწორე, მომხდარი ინციდენტების შეფასება. სტადიონისა და საფარის კონსტრუქციების მდგომარეობა, საშხაპეები, სამსაჯო ოთახი, გასახდელები, საპრესკონფერენციო დარბაზი, სტუმარი გუნდის მიღება-დაბინავების საკითხები, ოფიციალურ პირთა ქცევა, სტადიონის ადმინისტრაციის მუშაობა, წესრიგის დამცველთა და სასწრაფო და სახანძრო უზრუნველყოფის საკითხები.

ინსპექტორის პატაკი ყოვლისმომცველია და საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, იგი საშუალებას აძლევს სამსაჯო-საინპექტორო კომიტეტს ობიექტურად შეაფასოს ამა თუ იმ მატჩის მსაჯთა ბრიგადის მოქმედება და დეტალურად გაარჩიოს თითოეული მატჩი.

სრული სიცხადისათვის ვაქვეყნებთ ინსპექტორთა მიერ მსაჯობის ხარისხის შეფასების ინსტრუქციის საერთო დებულებას.

1.1 მსაჯობის ხარისხის შეფასება ხდება საფეხბურთო მატჩის ინსპექტორის მიერ ფუნქციების შესრულებაზე ვიზუალური დაკვირვების შედეგად;

1.2. შეფასების ძირითადი კრიტერიუმია მსაჯების მიერ წესების პრაქტიკული გამოყენება და გამოტანილი გადაწყვეტილებების სისწორე მეთოდური მითითებების გათვალისწინებით;

1.3. ინსპექტორის ნიშანი უნდა ასახავდეს არბიტრისა და ასისტენტის პირად თვისებებს და პირველ რიგში ასახავდეს მათ მიერ შესრულებული მუშაობის ხარისხს, კვალიფიკაციას და მსაჯების ობიექტურობას;

1.4. რეგლამენტის მიხედვით ინსპექტორს უფლება არა აქვს გამოიყენოს ვიდეოჩანაწერი სათამაშო სიტუაციების გასარჩევად მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა იგი ასრულებს თავის მოვალეობას. მიუხედავად იმისა, წარმოდგენილია თუ არა ოფიციალური საჩივარი მსაჯობის ხარისხზე ან პროტესტი;

1.5. საბოლოო ნიშნის გამოყვანისას ინსპექტორმა უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ პირადი დამაჯერებლობით და თავის გადაწყვეტილებაში აბსოლუტურად უნდა იყოს დარწმუნებული. არბიტრისა და მისი თანაშემწეების ყველა გადაწყვეტილება უნდა იქნეს ადეკვატურად შეფასებული;

1.6. ინსპექტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ არბიტრი და ასისტენტები იმყოფებიან მინდორზე უფრო ახლოს ოპტიმალურ პოზიციაში ამა თუ იმ სათამაშო ეპიზოდთან და შეუძლიათ მიიღონ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება;

1.7 თამაშის წესების წესი-5 და წესი-6 ფიფა-ს და უეფა-ს გადაწყვეტილებები და ცირკულარები მსაჯებს ანიჭებს ფართო უფლებებს, რათა მათ უკეთ გააკონტროლონ მატჩი, ამასთან, მსაჯის გადაწყვეტილება თამაშთან დაკავშირებულ ამა თუ იმ ფაქტთან საბოლოოა.

1.8. ამასთან ერთად დისციპლინის საკითხები არ შეიძლება შედიოდეს მხოლოდ მსაჯის კომპეტენციაში. ამიტომ მსაჯის მიერ სადისციპლინო სანქციების გამოყენება (არგამოყენება), მსაჯის გადაწყვეტილების დროულობა (არადროულობა), ამ ნაწილში არბიტრის მიერ მიღებული სანქციები, ინსპექტორის მიერ უნდა შეფასდეს, მიუხედავად იმისა, თუ რა ვითარებაში და მინდვრის რომელ ნაწილში მოხდა ინციდენტი, რომელიც დაკავშირებულია უხეშ თამაშთან ან უდისციპლინო საქციელთან.

1.9. არბიტრის ასისტენტების და სათადარიგო არბიტრის შეფასება (ნიშანი) ამომწურავად უნდა იყოს მოტივირებული.

## ინსპექტორის მიერ მსაჯების ფუნქციების შეფასება ციფრებში:

მსაჯთა ბრიგადის ყველა წევრის შეფასება ხდება ათბალიანი სისტემით. ინსპექტორის პატაკში მთავარ მსაჯს შეფასება განესაზღვრება მეათედ ქულამდე სიზუსტით, ხოლო ასისტენტებს და მეოთხე არბიტრს — მთელი ციფრით.

დადგენილი შეფასება შემდეგი დიაპაზონით:

**9 ქულა — ფრიადი**
**8 ქულა — ძალიან კარგი**
**7 ქულა — კარგი**
**6 ქულა — დამაკმაყოფილებელი**
**5 ქულა — საშუალო**
**4 ქულა — არადამაკმაყოფილებელი**

*შენიშვნა: გამონაკლის შემთხვევაში გამოიყენება ნიშნები:*
**10 ქულა — ოპტიმალური**
**3 ქულა — ძალიან ცუდი**
**1 ქულა — განსაკუთრებით ცუდი.**

ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ ტურებს შორის შუალედში მსაჯები ინტენსიურ წვრთნას და თეორიულ მზადებას გადიან.

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი. პირველი ტური

### A ჯგუფი

**მანჩესტერი (ინგლისი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 3-1**
1-0 შერინგემი (48), 1-1 კარაგუნისი (64), 2-1, 3-1 სქოულზი (80,90).
**ვალენსია (ესპანეთი) — შტურმი (ავსტრია) 2-0**
კარეუ (45), ხუან სანჩესი (47).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| პანათინაიკ. | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| შტურმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |



### B ჯგუფი

**პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი) — დეპორტივო (ესპანეთი) 1-3**
1-0 ალქერინო (38), 1-1 ნაიბეტი (63), 1-2 ტურუ ფლორესი (70), 1-3 მაკაი (90).
**მილანი (იტალია) — გალათასარაი (თურქეთი) 2-2**
0-1 ქარდელი (39), 0-2 ჰასან შაში (41), 1-2 ხოსე მარი (48), 2-2 შევჩენკო (73, პენ.).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| მილანი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| გალათასარაი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| პსჟ | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |

### C ჯგუფი

**სპარტაკი (რუსეთი) — არსენალი (ინგლისი) 4-1**
0-1 სილვინიო (2), 1-1, 2-1 მარკაო (29,51), 3-1 ტიტოვი (77), 4-1 რობსონი (82).
**ბაიერნი (გერმანია) — ლიონი (საფრანგეთი) 1-0**
იერემისი (55)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-1 | 3 |
| ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ლიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| არსენალი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-4 | 0 |



იერემისი

### D ჯგუფი

**ლიდსი (ინგლისი) — რეალი (ესპანეთი) 0-2**
იერო (66), რაული (68)
**ანდერლეხტი (ბელგია) — ლაციო (იტალია) 1-0**
რაძინსკი (85)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ანდერლეხტი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ლაციო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| ლიდსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |



სპარტაკელთა ბრაზილიელმა მარკაომ ორი გოლი გაუტანა არსენალს...

## ანონსი • პირველი ლიგა • XVI ტური

**თორი — შუქურა**
**სამგურალი — დინამო (ზ)**
**თბილისი — ოკეანე**
**მეტალურგი — კოლხეთი (ხ)**
**გურია — ლოკ-2 — ცხინვალი**
**იბერია — მილანი**

პირველ ლიგაში ტური დღეს გაიმართება და აქაც ბევრ საინტერესოს უნდა ველოდოთ. პირველი ექვსეულისთვის მებრძოლი, უშუალო მეზობლები ერთმანეთს შეერკინებიან. „სამგურალი" ზუგდიდის „დინამოს" მასპინძლობს. გუნდებს ყველა მაჩვენებელი თანაბარი აქვთ, ბურთების უკეთესი შეფარდების გამო ერთი საფეხურით წინ წყალტუბოელები არიან. ტურის მშვენება და ცენტრალური მატჩი კი ლანჩხუთში გაიმართება: „გურია-ლოკომოტივი-2" „ცხინვალს" უმასპინძლებს. ამ წყვილშიც სრული თანაფარდობაა, თუ რომელი მათგანი გახდება ლიგის ერთპიროვნული ლიდერი, ამას მატჩის დასრულების შემდეგ გავიგებთ.

**საბა ლომინაძე**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცხინვალი** | **15** | **10** | **1** | **4** | **40-17** | **31** |
| **გურია-ლოკ2** | **15** | **9** | **4** | **2** | **22-18** | **31** |
| **მილანი** | **15** | **9** | **3** | **3** | **22-10** | **30** |
| **შუქურა** | **15** | **8** | **3** | **4** | **20-12** | **27** |
| **მეტალურგი** | **15** | **7** | **5** | **3** | **23-15** | **26** |
| **სამგურალი** | **15** | **7** | **3** | **5** | **23-12** | **24** |
| დინამო(ზ.) | 15 | 7 | 3 | 5 | 23-21 | 24 |
| თორი | 15 | 6 | 2 | 7 | 14-14 | 20 |
| კოლხეთი(ხ.) | 15 | 3 | 5 | 7 | 9-17 | 14 |
| ოკეანე | 15 | 2 | 3 | 10 | 13-31 | 9 |
| იბერია | 15 | 2 | 3 | 10 | 8--27 | 9 |
| თბილისი | 15 | 2 | 1 | 12 | 5-28 | 7 |



## ძმები - ნიჭიერი ფეხბურთელები და ფრიადოსნები

ახლა საქართველოს ნებისმიერ სოფელსა და ქალაქში ნამდვილი საფეხბურთო ბუმია. ამჯერად მოკლედ ბათუმის ბავშვთა საფეხბურთო სკოლას (დირექტორი გია ჯორბენაძე), მის სახელოვან წარსულს და დღევანდელობას გადავავლოთ თვალი.

ეს სკოლა თითქმის ნახევარსაუკუნოვან ისტორიას ითვლის და ფეხბურთელთა სამჭედლოდაც ითვლება. სწორედ აქ აიდგეს ფეხი ანზორ კავაზაშვილმა, ანზორ კვაჭაძემ, იგორ ფროლოვმა, როინ კვასხვაძემ, ილია დათუნაშვილმა, გარი ქიქავამ, ვახტანგ ქორიძემ, ნოდარ ხიზანიშვილმა, ბონდო გიორგაძემ, ტარიელ ვერულიძემ და სხვებმა. ფეხბურთის ქომაგებს, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვთ მათი ჩინებული გამოსვლები.

დღეს აქ იზრდება ღირსეული ცვლა, რომელთა შორის არიან ძმები ბექა და ბაქარ მჟავანაძეები. თანატოლებთან ერთად მათ არაერთ ტურნირში იასპარეზეს წარმატებით. ორივე წმინდა ანდრია პირველწოდებულის გიმნაზიაში სწავლობს — ბექა მე-7, ბაქარი კი მე-5 კლასელია. ორივე ფრიადოსანი მოსწავლეა.

*სურათზე: ძმები ბექა და ბაქარ მჟავანაძეები.*

# სერგეი ბალტაჩა: ნემსაძე შოტლანდიის ერთ-ერთი რჩეული მოთამაშეა

**შოტლანდიის ჩემპიონატის XVI ტურში „დანდიმ“, სადაც თამაშობს ქართველი ლეგიონერი, ქვეყნის ეროვნული ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე, დიდი ანგარიშით — 5-0 სძლია „სენტ-მირენს“. რაოდენ დიდი იყო ჩვენი გაკვირვება, როდესაც ინტერნეტის ერთ-ერთ სერვერში „სენტ-მირენის“ შემადგენლობაში სერგეი ბალტაჩას გვარი ამოვიკითხეთ. ცხადია, დავინტერესდით და, ჩვენი უკრაინელი კოლეგების დახმარებით, ბალტაჩას ბინის ტელეფონსაც მივაკვლიეთ. მაშ ასე, ვრეკავთ 42 წლის ვეტერან ფეხბურთელთან და...**



*გ. ნემსაძე (№10)*

— ალო, სერგეი ბალტაჩა გისმენთ... თქვენ ალბათ, მამაჩემი გნებავთ.

● ***ერთი ეს გაგვაგებინეთ, მამათქვენი ნამდვილად აგრძელებს კიდევ თამაშს? ახლაც ამოვიკითხეთ მისი გვარი „სენტ-მირენის“ შემადგენლობაში.***

— (იცინის). არა, ეს მამაჩემი არაა, მე ვარ, მეც სერგეი მქვია. ჩვენს გუნდში რამდენიმე უცხოელია — ფრანგი, გერმანელი, ჰოლანდიელი, უკრაინელი და მე.

● ***შოტლანდიაში საიდან მოხვდით?***

— დაიშალა თუ არა საბჭოთა კავშირი, იმთავითვე დიდ ბრიტანეთს გადავედით საცხოვრებლად. მამაჩემი ბავშვთა გუნდების მწვრთნელად მუშაობდა, თან მეც მავარჯიშებდა. ეტყობა, კარგი შეგირდი გამოვდექი, ვინაიდან შარშან უკვე შოტლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებში ვითამაშე.

● ***ესე იგი, თქვენ მოქალაქეობა გამოიცვალეთ?***

— არა, მე კვლავ უკრაინის მოქალაქე ვარ, შოტლანდიელთა ნაკრების შემადგენლობაში იმიტომ ამიყვანეს, რომ ათი წელია აქ ვცხოვრობ. ყველა ნიუანსს ვერ აგიხსნით, მაგრამ, როგორც მე მითხრეს, მომავალში უფლება მაქვს უკრაინის ნაკრებშიც ვითამაშო.

● ***კი მაგრამ, ეს ხომ ფიფას წესებს ეწინააღმდეგება!***

— შეიძლება ასეც არის, მაგრამ, ეტყობა, გამონაკლისიც არსებობს. ჯერჯერობით კი შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებშიც ვთამაშობ, უკვე სამ მატჩში მივიღე მონაწილეობა — ბოსნიის, ლიტვის და საფრანგეთის წინააღმდეგ.

● ***რა პოზიციაზე გამოდიხართ და, საერთოდ, როგორ მოხვდით შოტლანდიის პირველი ჯგუფის გუნდ „სენტ-მირენში“?***

— ჩემი სიმაღლე 194 სანტიმეტრია და, ცხადია, ამის გამო მიმიჩინეს ადგილი დაცვის ცენტრში. სამი წლის წინათ, მამაჩემმა დაიწყო მუშაობა მწვრთნელად პერტში, სადაც ფუნქციონირებს ცნობილი საფეხბურთო ცენტრი „სენტ-ჯონსტონი“. ეტყობა, იქ შემამჩნიეს „სენტ-მირენის“ სელექციონერებმა და შარშან იანვარში შემომთავაზეს კონტრაქტის გაფორმება. ორი-სამი თვის შემდეგ მივიღე მიწვევა ინგლისის პრემიერ-ლიგის გუნდებიდან — „იფსვიჩიდან“, „საუთჰემპტონიდან“, „მიდლსბროდან“, შოტლანდიის „აბერდინიც“ მთავაზობდა ხელშეკრულების გაფორმებას, მაგრამ არ ვჩქარობ, ამასვე მირჩევს მამაჩემიც.

● ***ბალტაჩა-უფროსიც „სენტ-მირენშია?***

— არა, იგი შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციის პასუხისმგებელი მუშაკია და საკმაოდ დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. ხშირად ჩამოდის ხოლმე ჩემი თამაშის საყურებლად.

● ***ბოლო ტურის მატჩს თუ დაესწრო „დანდისთან“?***

— დიახ, სამწუხაროდ, ჩვენ სასტიკად დავმარცხდით და მამაჩემიც უკმაყოფილო იყო ჩემი თამაშით.

● ***მოწინააღმდეგე გუნდიდან ვის გამოარჩევდით?***

— ცხადია, არგენტინელ ფორვარდ კანიჯას, მაგრამ „დანდის“ სული და გული თქვენებური ნემსაძეა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იგი შოტლანდიის ერთ-ერთი რჩეული მოთამაშეა. აი, იგი რომ „სენტ-მირენში“ მოგვცა, სატურნირო ცხრილში გაცილებით საპატიო ადგილზე ვიქნებოდით.

● ***ეს მარტო თქვენი აზრია?***

— როგორ გეკადრებათ, მაყურებელი თუ დღეს „დანდის“ თამაშებზე დადის, ეს ქართველის დიდი დამსახურებაა. სხვათა შორის, ახლახან გაზეთებში გაჩნდა ინფორმაცია, რომ მას რომელიღაცა ავტორიტეტული იტალიური კლუბი ეპატიჟება.

● ***კონკრეტულად რომელი?***

— მაპატიეთ, არ მახსოვს...

ესაუბრა
**ჯემალ ჭიპაშვილი**

## სტუდენტებს მწვრთნელი შეეცვალათ



*თენგიზ კაცია*

უმაღლესი ლიგის საფეხბურთო კლუბ „თსუ-არმაზს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — თენგიზ კაცია „ვიტ ჯორჯიას“ მეორე მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა შეცვალა. ეს ამბავი მოსალოდნელი იყო: სტუდენტური გუნდი წარუმატებლად გამოდის ეროვნულ ჩემპიონატში და, როგორც ეტყობა, სანუკვარი პირველი ექვსეულის მიღმა დარჩა. კოლექტივმა ვერც ეროვნული თასის გათამაშებაში ივარგა — მერვედფინალში მას ქვედალიგელმა წყალტუბოს „სამგურალმა“ აჯობა.



*მერაბ კოჭლაშვილი*

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### „თქვენ მწვრთნელი გამტყუნებთ“

**რომან ბერეზოვსკი სულ რამდენიმე ხნის წინათ სომხეთის ნაკრების ძირითადი მეკარეც იყო და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტისაც“. ახლა „ზენიტი“ მასთან კონტრაქტს უკვე აღარ ანახლებს და სომხეთის ნაკრებშიც პრობლემები შეექმნა.**

● *ერევანში სხვადასხვანაირად ხსნიან თქვენს შესაძლო გადადგომას. იქნებ თქვენ გაგვარკვიოთ ამ საკითხში?*

**— სასტუმროში ჩემთან მოვიდა მეორე მწვრთნელი ფარსადანიანი და მითხრა, რომ მე მაბრალებს უკრაინელებთან დამარცხებას, არ სურს გუნდში ჩემი დანახვაც კი. შოკში აღმოვჩნდი. დავიწყე ჩემი ნივთების შეგროვება, რომ ერევანი დამეტოვებინა. ჩემთან მოვიდნენ ფეხბურთელები და მითხრეს, არ მიგვატოვო, მწვრთნელი, უბრალოდ, გაცხარდაო. მეორე დღეს იგივე მითხრა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, მთხოვა გუნდთან ერთად მინსკში წავსულიყავი ბელორუსიის ნაკრებთან სათამაშოდ. იქ მე გუნდის ინტერესების გამო წავედი, უარი ვერ ვუთხარი პატივცემულ ადამიანს. მინსკში თამაშში მონაწილეობა არ მიმიღია. ვუცდიდი, რომ მწვრთნელი მოვა და ვაჟკაცურად დამელაპარაკება. მან ეს არ მოისურვა. ისე რომ, სანამ ვითარება სომხეთის ნაკრებში არ შეიცვლება, მე იქ თამაშს არ ვაპირებ.**

### მოსკოვის „სპარტაკი“ ძალიან გამდიდრდა

მოსკოვის „სპარტაკმა“, ჩემპიონთა ლიგის მომდევნო წრეში გასვლით უკვე მიიღო ძალიან დიდი შემოსავალი, როგორც მინიმუმი, 5040 000 დოლარი: აქედან 840 ათასი ლიგაში მონაწილეობისათვის (!), 1 680 000 დოლარი — პირველ წრეში გამოსვლისათვის, კიდევ 840 ათასი — ჯგუფში მოპოვებული სამი გამარჯვებისათვის, და 1 680 000 დოლარი — მეორე წრეში გასვლისათვის. გარდა ამისა, კლუბს დაერიცხება გარკვეული თანხა სატელევიზიო უფლებების გაყიდვისათვის და, შესაძლებელია, ჩემპიონთა ლიგის მომდევნო წრეში გამარჯვებისათვისაც.

### ანდრეას მიოლერის „მაგარი ყბები“

**როგორც „შალკე 04“-ში ამ სეზონიდან გადასული ანდრეას მიოლერი აცხადებს, მისი კლუბი აუცილებლად უნდა გახდეს გერმანიის ჩემპიონი.**

**— ცხრილის პირველ სტრიქონს კბილებით უნდა ჩავეჭიდოთ და არავის დავუთმოთ. გვერწმუნეთ, საამისოდ საკმაოდ „მაგარი ყბები“ გვაქვს.**

**აქამდე კი ანდრეას მიოლერს თუ რამეს უკიჟინებდნენ, ეს ხომ სწორედ მეტისმეტად რბილი თამაში იყო.**

### „ისიც არ ვიცი, სადა მაქვს თავი“

არჩილ არველაძის „კიოლნი“ გერმანიის ჩემპიონატში ისე მარცხიანად გამოდის, რომ მწვრთნელი ევალდ ლინენი საგონებელშია:

— უკვე დავკარგე თავი, ისიც არ ვიცი, სადა მაქვს იგი, თქვენ კი ჩემი მოთამაშეების ფეხებზე მეკითხებით — სევდიანად იხუმრა მან.

**მკითხველის თხოვნით**

## ინგლისის ჩემპიონატის კალენდარი

***XV ტური, 25 ნოემბერი.*** ჩარლტონი — სანდერლენდი, კოვენტრი — ასტონ ვილა, დერბი ქაუნთი — მანჩესტერ იუნაიტედი, ევერტონი — ჩელსი, ლიდსი — არსენალი, მანჩესტერ სიტი — იფსვიჩი, მიდლსბრო — ბრედფორდი, ნიუკასლი — ლივერპული, საუთჰემპტონი — ვესტ ჰემი, ტოტენჰემი — ლესტერი.

***XVI ტური, 2 დეკემბერი.*** არსენალი — საუთჰემპტონი, ასტონ ვილა — ნიუკასლი, ბრედფორდი — კოვენტრი, ჩელსი — მანჩესტერ სიტი, იფსვიჩი — დერბი ქაუნთი, ლესტერი — ლიდსი, ლივერპული — ჩარლტონი, მანჩესტერ იუნაიტედი — ტოტენჰემი, სანდერლენდი — ევერტონი, ვესტ ჰემი — მიდლსბრო.

***XVII ტური, 9 დეკემბერი.*** არსენალი — ნიუკასლი, ბრედფორდი — ტოტენჰემი, ჩარლტონი — მანჩესტერ იუნაიტედი, ჩელსი — დერბი ქაუნთი, კოვენტრი — ლესტერი, ლივერპული — იფსვიჩი, მანჩესტერ სიტი — ევერტონი, საუთჰემპტონი — ლიდსი, სანდერლენდი — მიდლსბრო, ვესტ ჰემი — ასტონ ვილა.

***XVIII ტური, 16 დეკემბერი.*** ასტონ ვილა — მანჩესტერ სიტი, დერბი ქაუნთი — კოვენტრი, ევერტონი — ვესტ ჰემი, იფსვიჩი — საუთჰემპტონი, ლიდსი — სანდერლენდი, ლესტერი — ჩარლტონი, მანჩესტერ იუნაიტედი — ლივერპული, მიდლსბრო — ჩელსი, ნიუკასლი — ბრედფორდი, ტოტენჰემი — არსენალი.

***XIX ტური, 23 დეკემბერი.*** ჩარლტონი — ევერტონი, ჩელსი — ბრედფორდი, კოვენტრი — საუთჰემპტონი, დერბი ქაუნთი — ნიუკასლი, ლიდსი — ასტონ ვილა, ლესტერი — ვესტ ჰემი, ლივერპული — არსენალი, მანჩესტერ იუნაიტედი — იფსვიჩი, სანდერლენდი — მანჩესტერ სიტი, ტოტენჰემი — მიდლსბრო.

***XX ტური, 26 დეკემბერი.*** არსენალი — ლესტერი, ასტონ ვილა — მანჩესტერ იუნაიტედი, ბრედფორდი — სანდერლენდი, ევერტონი — კოვენტრი, იფსვიჩი — ჩელსი, მანჩესტერ სიტი — დერბი ქაუნთი, მიდლსბრო — ლივერპული, ნიუკასლი — ლიდსი, საუთჰემპტონი — ტოტენჰემი, ვესტ ჰემი — ჩარლტონი.

***XXI ტური, 30 დეკემბერი.*** არსენალი — სანდერლენდი, ასტონ ვილა — ლესტერი, ბრედფორდი — ლივერპული, ევერტონი — ლიდსი, იფსვიჩი — ტოტენჰემი, მანჩესტერ სიტი — ჩარლტონი, მიდლსბრო — კოვენტრი, ნიუკასლი — მანჩესტერ იუნაიტედი, საუთჰემპტონი — დერბი ქაუნთი, ვესტ ჰემი — ჩელსი.

***XXII ტური, 2001 წლის 1 იანვარი.*** ჩარლტონი — არსენალი, ჩელსი — ასტონ ვილა, კოვენტრი — მანჩესტერ სიტი, დერბი ქაუნთი — ევერტონი, ლიდსი — მიდლსბრო, ლესტერი — ბრედფორდი, ლივერპული საუთჰემპტონი, მანჩესტერ იუნაიტედი — ვესტ ჰემი, სანდერლენდი — იფსვიჩი, ტოტენჰემი — ნიუკასლი.

***XXIII ტური, 13 იანვარი.*** არსენალი — ჩელსი, ასტონ ვილა — ლივერპული, ბრედფორდი — მანჩესტერ იუნაიტედი, ევერტონი — ტოტენჰემი, იფსვიჩი — ლესტერი, მანჩესტერ სიტი — ლიდსი, მიდლსბრო — დერბი ქაუნთი, ნიუკასლი — კოვენტრი, საუთჰემპტონი — ჩარლტონი, ვესტ ჰემი — სანდერლენდი.

***XXIV ტური, 20 იანვარი.*** ჩარლტონი — ვესტ ჰემი, ჩელსი — იფსვიჩი, კოვენტრი — ევერტონი, დერბი ქაუნთი — მანჩესტერ სიტი, ლიდსი — ნიუკასლი, ლესტერი — არსენალი, ლივერპული — მიდლსბრო, მანჩესტერ იუნაიტედი — ასტონ ვილა, სანდერლენდი — ბრედფორდი, ტოტენჰემი — საუთჰემპტონი.

***XXV ტური. 30 იანვარი.*** არსენალი — ბრედფორდი, ჩარლტონი — დერბი ქაუნთი, ლიდსი — კოვენტრი, სანდერლენდი — მანჩესტერ იუნაიტედი.

***31 იანვარი.*** ასტონ ვილა — იფსვიჩი, ჩელსი — ნიუკასლი, ევერტონი — მიდლსბრო, მანჩესტერ სიტი — ლივერპული, საუთჰემპტონი — ლესტერი, ვესტ ჰემი — ტოტენჰემი.

***XXVI ტური, 3 თებერვალი.*** ბრედფორდი — ასტონ ვილა, კოვენტრი — არსენალი, დერბი ქაუნთი — სანდერლენდი, იფსვიჩი — ლიდსი, ლესტერი — ჩელსი, ლივერპული — ვეტს ჰემი, მანჩესტერ იუნაიტედი — ევერტონი, მიდლსბრო — მანჩესტერ სიტი, ნიუკასლი — საუთჰემპტონი, ტოტენჰემი — ჩარლტონი.

***XXVII ტური, 10 თებერვალი.*** არსენალი — იფსვიჩი, ასტონ ვილა — მიდლსბრო, ჩარლტონი — ნიუკასლი, ჩელსი — მანჩესტერ იუნაიტედი, ევერტონი — ლესტერი, ლიდსი — დერბი ქაუნთი, მანჩესტერ სიტი — ტოტენჰემი, საუთჰემპტონი — ბრედფორდი, სანდერლენდი — ლივერპული, ვესტ ჰემი — კოვენტრი.

***XXVIII ტური. 24 თებერვალი.*** ბრედფორდი — ვესტ ჰემი, კოვენტრი — ჩარლტონი, დერბი ქაუნთი — ასტონ ვილა, იფსვიჩი — ევერტონი, ლესტერი — სანდერლენდი, ლივერპული — ჩელსი, მანჩესტერ იუნაიტედი — არსენალი, მიდლსბრო — საუთჰემპტონი, ნიუკასლი — მანჩესტერ სიტი, ტოტენჰემი — ლიდსი.

***XXIX ტური. 3 მარტი.*** არსენალი — ვესტ ჰემი, კოვენტრი — ჩელსი, დერბი ქაუნთი — ტოტენჰემი, ევერტონი — ნიუკასლი, იფსვიჩი — ბრედფორდი, ლიდსი — მანჩესტერ იუნაიტედი, ლესტერი — ლივერპული, მანჩესტერ სიტი — საუთჰემპტონი, მიდლსბრო — ჩარლტონი, სანდერლენდი — ასტონ ვილა.

***XXX ტური, 17 მარტი.*** ასტონ ვილა — არსენალი, ბერდფორდი — მანჩესტერ სიტი, ჩარლტონი — ლიდსი, ჩელსი — სანდერლენდი, ლივერპული — დერბი ქაუნთი, მანჩესტერ იუნაიტედი — ლესტერი, ნიუკასლი — მიდლსბრო, საუთჰემპტონი — ევერტონი, ტოტენჰემი — კოვენტრი, ვესტ ჰემი — იფსვიჩი.

***XXXI ტური. 31 მარტი.*** არსენალი — ტოტენჰემი, ბრედფორდი — ნიუკასლი, ჩარლტონი — ლესტერი, ჩელსი — მიდლსბრო, კოვენტრი — დერბი ქაუნთი, ლივერპული — მანჩესტერ იუნაიტედი, მანჩესტერ სიტი — ასტონ ვილა, საუთჰემპტონი — იფსვიჩი, სანდერლენდი — ლიდსი, ვესტ ჰემი — ევერტონი.

***XXXII ტური, 7 აპრილი.*** ასტონ ვილა — ვესტ ჰემი, დერბი ქაუნთი — ჩელსი, ევერტონი — მანჩესტერ სიტი, იფსვიჩი — ლივერპული, ლიდსი — საუთჰემპტონი, ლესტერი — კოვენტრი, მანჩესტერ იუნაიტედი — ჩარლტონი, მიდლსბრო — სანდერლენდი, ნიუკასლი — არსენალი, ტოტენჰემი — ბრედფორდი.

***XXXIII ტური, 14 აპრილი.*** არსენალი — მიდლსბრო, ასტონ ვილა — ევერტონი, ბრედფორდი — ჩარლტონი, ჩელსი — საუთჰემპტონი, იფსვიჩი — ნიუკასლი, ლესტერი — მანჩესტერ სიტი, ლივერპული — ლიდსი, მანჩესტერ იუნაიტედი — კოვენტრი, სანდერლენდი — ტოტენჰემი, ვესტ ჰემი — დერბი ქაუნთი.

***XXXIV ტური, 16 აპრილი.*** ჩარლტონი — ასტონ ვილა, კოვენტრი — სანდერლენდი, დერბი ქაუნთი — ლესტერი, ევერტონი — ლივერპული, ლიდსი — ბრედფორდი, მანჩესტერ სიტი — არსენალი, მიდლსბრო — იფსვიჩი, ნიუკასლი — ვესტ ჰემი, საუთჰემპტონი — მანჩესტერ იუნაიტედი, ტოტენჰემი — ჩელსი.

***XXXV ტური. 21 აპრილი.*** არსენალი — ევერტონი, ასტონ ვილა — საუთჰემპტონი, ბრედფორდი — დერბი ქაუნთი, ჩელსი — ჩარლტონი, იფსვიჩი — კოვენტრი, ლესტერი — მიდლსბრო, ლივერპული — ტოტენჰემი, მანჩესტერ იუნაიტედი — მანჩესტერ სიტი, სანდერლენდი — ნიუკასლი, ვესტ ჰემი — ლიდსი.

***XXXVI ტური. 28 აპრილი.*** ჩარლტონი — იფსვიჩი, კოვენტრი — ლივერპული, დერბი ქაუნთი — არსენალი, ევერტონი — ბრედფორდი, ლიდსი — ჩელსი, მანჩესტერ სიტი — ვესტ ჰემი, მიდლსბრო — მანჩესტერ იუნაიტედი, ნიუკასლი — ლესტერი, საუთჰემპტონი — სანდერლენდი, ტოტენჰემი — ასტონ ვილა.

***XXXVII ტური. 5 მაისი.*** არსენალი — ლიდსი, ასტონ ვილა — კოვენტრი, ბრედფორდი — მიდლსბრო, ჩელსი — ევერტონი, იფსვიჩი — მანჩესტერ სიტი, ლესტერი — ტოტენჰემი, ლივერპული — ნიუკასლი, მანჩესტერ იუნაიტედი — დერბი ქაუნთი, სანდერლენდი — ჩარლტონი, ვესტ ჰემი — საუთჰემპტონი.

***XXXVIII ტური. 19 მაისი.*** ჩარლტონი — ლივერპული, კოვენტრი — ბრედფორდი, დერბი ქაუნთი — იფსვიჩი, ევერტონი — სანდერლენდი, ლიდსი — ლესტერი, მანჩესტერ სიტი — ჩელსი, მიდლსბრო — ვესტ ჰემი, ნიუკასლი — ასტონ ვილა, ტოტენჰემი — მანჩესტერ იუნაიტედი, საუთჰემპტონი — არსენალი.



*«ბრედფორდი» — «ლიდსი»*

# როგორ დაემხო დაუმი?!

***ამის შესახებ ლაპარაკობს პოპულარულ გერმანულ ჟურნალ „კიკერის“ გამომცემელი, ცნობილი ჟურნალისტი კარლ-ჰაინც ჰაიმანი***

— ივლისში, როცა დადგა გერმანიის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნის საკითხი, კრისტოფ დაუმმა თვით წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა. ყველა კლუბის წარმომადგენლებმა, მათ შორის ული ჰიონესმაც მიუნხენის „ბაიერნიდან“ მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას. წინააღმდეგი იყო მხოლოდ ლევერკუზენის „ბაიერი“, რომელმაც განაცხადა, რომ მასთან დაუმს ხელშეკრულება აქვს 2001 წლის 1 ივნისამდე. ამის გამო მიიღეს კომპრომისული გადაწყვეტილება: დაუმი გერმანიის ნაკრების მწვრთნელად 2001 წლის ივნისიდან დაიწყებს მუშაობას, მანამდე კი მას უხელმძღვანელებს რუდი ფიოლერი, მაგრამ არა როგორც ბუნდესტრენერი, რახან სათანადო სამწვრთნელო ლიცენზია არა აქვს, არამედ როგორც გუნდის შეფი.

სექტემბერში მიუნხენის ერთ პატარა ბულვარულ გაზეთში გამოჩნდა ცნობა, რომ დაუმი თითქოს ნარკოტიკებს ეტანება. მალე ამის შემდეგ „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა დიდი პრეს-კონფერენცია გამართა, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ თუკი დაუმი ნარკოტიკებს იღებს, მისი მუშაობა გერმანიის ნაკრების მწვრთნელად არ შეიძლება. შემდეგ კი მოვლენები ძალიან სწრაფდ განვითარდა. გაზეთებმა, ტელევიზიამ და რადიომ მეტისმეტად გაბერეს ეს სკანდალი, ეყრდნობოდნენ რა ჰიონესის სიტყვებს იმის შესახებ, რომ დაუმი ნარკომანია. ჰიონესი ამაოდ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მას არასოდეს უთქვამს, თითქოს დაუმი ამას სჩადის, არამედ ასე თქვა: „თუკი იღებს, მაშინ მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ნაკრებში“. ამასთან, საქმემ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ჰიონესს უკვე აღარავინ უსმენდა.


ქრისტოფ დაუმი

დაუმი თავის მხრივ ამტკიცებდა, რომ ამ საქმეში არავითარი ბრალი არა აქვს, და რათა ბრალდება უარეყო, კიოლნის სასამართლო მედიცინის ინსტიტუტს ანალიზისათვის თავისი თმა გაუგზავნა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ანალიზის შედეგები უარყოფითი იქნებოდა. როცა 20 ოქტომბერს გასინჯვამ დადებითი შედეგი უჩვენა, ამან აფეთქებული ყუმბარის შთაბეჭდილება დასტოვა.

საინტერესოა, რომ კიოლნის სასამართლო მედიცინის ინსტიტუტში სინჯი ოთხ სხვადასხვანაირ ნარკოტიკზე გაკეთდა. აქედან სამს უარყოფითი მაჩვენებლი ჰქონდა, ერთს კი დადებითი. ამასთან, ინსტიტუტმა არ მიუთითა, რომელ ნარკოტიკზე იყო ლაპარაკი. ყველამ, მაინც, დაასკვნა, რომ ეს კოკაინი უნდა ყოფილიყო. დაუმი დაუყოვნებლივ გადააყენეს „ბაიერის“ მწვრთნელის პოსტიდან, იგი გაფრინდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც თავისი მეგობრის სტუმარია. იგი კვლავინდებურად ამტკიცებს, რომ უდანაშაულოა ამ საკითხში, ხოლო სინჯის დადებითი მაჩვენებელი — ეს უკვე მაფიის გაკეთებულია. დაუმმა განაცხადა, რომ იგი აშშ-ში უკვე დამოუკიდებელ ინსტიტუტში გაივლის სინჯს და ყველას დაუმტკიცებს, რომ მას ცილი დასწამეს.

ვფიქრობ, რომ ამის შემდეგ დაუმის საფეხბურთო კარიერა გერმანიაში დამთავრებულია საერთოდ კი, ეს სკანდალი გერმანულ ფეხბურთზე ძალიან უარყოფითად იმოქმედებს. ახლა დაუმს ყველა უკლებლივ თათხავს. ეს თემა გაზეთების პირველ გვერდებს არა სცილდება. ტელევიზია თავის გადაცემებს „დაუმის საქმით“ იწყებს — პოლიტიკა მეორე ადგილზე გადავიდა. ეს ძალზე სამწუხარო ისტორიაა. რუდი ფიოლერი კი, რომელიც ივლისამდე ერთი დღეც კი არა ყოფილა დაკავებული სამწვრთნელო საქმიანობით, ნაკრებს ხელმძღვანელობს.

**P.S.** ამ მასალის გამოქვეყნება რედაქციამ განგებ გააჭიანურა, ვინაიდან შეიტყო, რომ დაუმმა აშშ-ს ერთ-ერთ ავტორიტეტულ კლინიკაში ხელახალი ანალიზი ჩაიტარა. ცხადია, მის პასუხსაც ველოდით. და აი, ამერიკელმა ექიმებმა გამოაქვეყნეს ოფიციალური დასკვნა — პაციენტის ორგანიზმში ნარკოტიკების კვალიც კი არსად ჩანს. ამ ამბავმა მთელი სპორტული საზოგადოებრიობა გააოგნა. რა იქნება ამის შემდეგ?

ვარაუდობენ, რომ ამ დღეებში დაუმი გერმანიაში ჩავა და რომელიმე ქალაქის სასამართლოში შეიტანს სარჩელს, რომელიც ქვეყნის საფეხბურთო კავშირის წინააღმდეგ იქნება მიმართული: მომჩივანი ამ ორგანიზაციის თავკაცებს კონტრაქტის დარღვევაში ადანაშაულებს და კომპენსაციის სახით 6,5 მილიონ ამერიკულ დოლარს ითხოვს. ვნახოთ, გახდება დაუმი მილიონერი?

# ყალბი პასპორტები იტალიურ ფეხბურთში

***საზღვარგარეთის სპორტული პრესა ბევრს წერს ე.წ. „ფალსოს“ ანუ იტალიის ლიგებში მოთამაშე ფეხბურთელების ყალბი პასპორტების შესახებ***

ყალბად სცნეს „მილანის“ ბრაზილიელი მეკარე დიდას პორტუგალიური პასპორტი „უდინეზეში“, ორი ბრაზილიელის — ვარლეისა და, ალბერტოს გარდა, საეჭვო პასპორტი აღმოაჩნდა პარაგვაელ და სილვასაც. საინტერესოა, რომ სამივე ამ დოკუმენტებით „აღჭურვა“ რომელიღაც პორტუგალიელმა მოხელემ, რომელსაც გაფაციცებით ეძებენ და დღემდე ვერ დაუჭერიათ. ამავე მიზეზით ორივე ბრაზილიელს უნდა გამოეთხოვოს „ვიჩენცა“, ხოლო „სამპდორიაში“ ერთბაშად ხუთი ეჭვმიტანილია.

ამასთან, ყველაზე დიდი სკანდალი არგენტინელ ვერონის საქმემ გამოიწვია, რომელმაც ყალბი საბუთებით იტალიის მოქალაქის პასპორტის მიღება მოინდომა. რომის პროკურატურამ შეისწავლა ეს საკითხი და ასეთი დადგენილება მიიღო. საქმე სასამართლოს გადასცეს, პასუხი კი ერთბაშად ცხრა პიროვნებას მოსთხოვოს: თვით ხუან სებასტიან ვერონს. გარდა ამისა კლუბ „ლაციოს“ პასუხისმგებელ პირებს, მათ შორის პრეზიდენტ სერჟიო კრანიოტისაც.

რაც შეეხება ვერონს, იგი აცხადებს, რომ ყოველთვის იცოდა თავისი იტალიელი წინაპრების შესახებ და ჯერ კიდევ 1996 წელს, როცა „პარმაში“ თამაშობდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უნდა გამოიყენოს ბუენოს-აირესში მოქმედი „ალვარესის“ იურიდიული კანტორა, რათა სათანადო საბუთები შეაგროვოს.

არგენტინელებმა, დაადასტურეს, რომ ვერონს მართლაც აღმოაჩნდა იტალიელი ნათესავი, ვინმე ლუიჯი პიერო რატი. მაგრამ ფეხბურთელის შეგროვებული დოკუმენტებით ვერონის იტალიის მოქალაქეობის მიღება კიდევ წელიწადნახევრით მაინც გაუჭიანურდებოდა.

რას ნიშნავდა ეს გაჭიანურება „ლაციოსათვის“? როგორც ცნობილია, თითოეულ იტალიურ კლუბს უფლება აქვს „განაცხადში შეიყვანოს ხუთი ფეხბურთელი, ე.წ. „ექსტრაკომუნიტარი“, ანუ მოთამაშე, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქე არ არის. აქედან ერთდროულად შეიძლება მინდორზე მხოლოდ სამი იყოს. ეს მაშინ, როცა „ლაციოში“ ვერონთან ერთად თამაშობენ იუგოსლავი მიხაილოვიჩი, ჩეხი ნედვედი და ჩილელი სალასი (არგენტინელ სიმეონეს ამავე დროს ევროკავშირის წევრ ესპანეთის საგზური აქვს).

დაიწყო არგენტინელ ალმეიდას საბუთების შემოწმება, რომელიც „პარმადან“ „ლაციოში“ გადავიდა. ასახელებენ აგრეთვე არგენტინელ შამოტს („მილანი“), მის მეგობარ აიალას, რომელიც ესპანეთში გადავიდა, ბრაზილიელ ასუნსაოს („რომა“).

„შავ სიებში“ ამდენი არგენტინული და ბრაზილიური გვარი კი იმით აიხსნება, რომ ესპანურ და პორტუგალიურ ენოვანი ქვეყნების მოქალაქეებს უფრო იოლად შეუძლიათ ესპანეთის ან პორტუგალიის პასპორტების მიღება.

ვერონის ბედიღბალი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. მასზე იმსჯელებს ე.წ. „რომაული ტრიბუნალი. ასე ჰქვია აპენინების სამოქალაქო სასამართლოს.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ლიტბარსკი იმედიანად ბრუნდება სამშობლოში

როგორც ცნობილია, ორი კვირის წინათ ლევერკუზენის „ბაიერნიდან“ გაუჩინარებული მთავარი მწვრთნელის კრისტოფ დაუმის ნაცვლად დაინიშნა ცნობილი სპეციალისტი, გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი ბერტი ფოგტსი. ყველას აინტერესებდა, ვის აიყვანდა იგი თანაშემწედ. ამასთან დაკავშირებით, პრესაში რამდენიმე კანდიდატურაც დასახელდა, მაგრამ ფოგტსის გადაწყვეტილება ბევრისთვის მოულოდნელი იყო — უწინ გერმანიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი პიერ ლიტბარსკი. გამოცხადდა, რომ იგი თავის მოვალეობას ახალი წლიდან შეუდგება, ვინაიდან მისი სამწვრთნელო კონტრაქტი იაპონიის კლუბ „იოკოჰამასთან“ 2 იანვარს მთავრდება.

გაზეთ „ბილდის“ კორესპონდენტთან საუბარში ლიტბარსკიმ იმედი გამოთქვა, რომ მისი სამწვრთნელო კარიერა სამშობლოში წარმატებული იქნება: „ბერტისთან მუშაობა ოპტიმიზმს მმატებს. მე მშვენიერი კონტაქტები მაქვს ფეხბუთელებთან. ბერტი მორიდებული ადამიანია, მე კი, პირიქით, მოთამაშეებამდე მივიტან ყველა მის ჩანაფიქრს“.

### ალენიჩევი რომ მწვრთნელი იყოს...

ჟურნალისტმა სთხოვა რუსეთის ნაკრების ფეხბურთელ დმიტრი ალენიჩევს შეედგინა თავისი „ოცნების გუნდი“ დღეს მოქმედ ფეხბურთელთაგან. ვნახოთ, რა გამოვიდა.

— დავიწყოთ თავდამსხმელთაგან. ჩაიწერე: შევჩენკო და ბატისტუტა.

● ***თანაბარი ფუნქციებით?***

— დიახ, ორი თავდამსხმელი ერთნაირი ფუნქციებით. შემდეგ, ჩაიწერე. მათ ზურგში — ზიდანი. ცოტა უკან დავიდსი და ვერონი. ფრთაზე — კარპინი. ოღონდ, დაცვაში კი არა, წინ.

● ***ერთი სიტყვით, სამ ნახევარმცველს გულისხმობ, ზიდანს თუ არ ჩავთვლით?***

— დიახ. ოთხმა მცველმა უნდა ითამაშოს.

● ***ლიბეროთი?***

— არა, ორი ცენტრალური მცველით ერთ ხაზზე. შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში ლიბეროს გამოყენებაც. თუკი ეს აუცილებელი გახდა, მაშინ ალდაირზე უკეთესს ვერ მოვნახავთ. მარცხენა მცველი მალდინი იქნება, ოღონდ, იგი ხშირად უნდა გადავიდეს შუა ხაზზე. მარცხნივ — კაფუ. წინა ცენტრალურ მცველად? აქ ბევრი კანდიდატია. ნესტა, ან კანავარო. მაინც, ნესტას ავირჩევდი.

ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ წავმართავთ თამაშს.

● ***როგორ წარმართავთ?***

— მცველების მთავარი ამოცანაა ბურთი ცენტრალურ ზონაში გადასცენ დავიდსს ან ვერონს. ისინი გაითამაშებენ კომბინაციას ზიდანთან. ეს სამეული მუდმივად ბურთით უნდა იყოს. მალდინი მუდმივად წინ უნდა დაიძრას თავის ფრთაზე, მას დააზღვევს ნესტა. საწინააღმდეგო ფრთაზე იგივე უნდა გააკეთოს კარპინმა. კაფუსაც უყვარს წინ წასვლა. ამ შემთხვევაში კარპინი უკან უნდა დარჩეს. ჩემთვის მთავარია ცენტრალური სამკუთხედი. თუკი გვყავს მოთამაშეები, რომლებსაც შეუძლიათ ბურთის დაჭერა, კომბინაციების გათამაშება, წინ წასვლა, თავდამსხმელებისათვის ბურთის გადაცემა — ეს გუნდი კარგად ითამაშებს. ამ ცენტრალურ ღერძს ორი მთავარი ფუნქცია აქვს: შექმნას თამაში და მეტოქის შეტევა ჩაშალოს. ამასთან, ზიდანი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ შეტევითი მოქმედებით. იგი ბურთის წართმევაში უნდა დაეხმაროს დავიდსა და ვერონს. ამ სამეულმა ერთმანეთი ღირსეულად უნდა შეცვალოს. თავდამსხმელებმაც ზოგჯერ უნდა დაიხიონ უკან იმავე ბატისტუტასაგან და შევჩენკოსგან მოვითხოვდი, როცა საჭიროა, ზურგსაც მიხედონ. მე არ ვამბობ, რომ მათ თავი დაცვითი სამუშაოთი უნდა გადაიტვირთონ, მაგრამ სიტუაციის მიხედვით ფრთების მოთამაშეების ზონები უნდა დააზღვიონ, ზოგჯერ ცენტრალური მცველებიც კი. საერთოდ, მოთამაშეების ურთიერთდაზღვევა მეტად მნიშვნელოვანი ამბავია.

### დიკ ადვოკაატი: საქმეს უეფას თასზე გამოვასწორებთ

„გლაზგო რეინჯერსის“ ცნობილი ჰოლანდიელი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთმა ჟურნალისტმა ხუმრობანარევი სიმართლით აღნიშნა, მას მალე დასჭირდება... ადვოკატი!

როგორც კლუბის გამგეობის თავმჯდომარემ დევიდ მიურეიმ აღნიშნა, „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობა ძალიან უკმაყოფილოა გუნდის თამაშით. — ვინ იცის, რამდენი ხანია „ჯერსს“ არ წაუგია ზედიზედ სამი მატჩი შოტლანდიის პირველობაზე. ახლა ამას ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნაც დაემატა. ისე კი, ჩვენი ჯგუფი განსაკუთრებით ძლიერი რომ არ ყოფილა?! ყოველ წელს ადვოკაატი გვპირდებოდა, რომ კლუბი ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოვიდოდა, მაგრამ პირველივე შესარჩევი ჯგუფის ჯებირი ჩვენთვის გადაულახავი აღმოჩნდა. რაღაცა უნდა შეიცვალოს.

თვით ადვოკაატმა მარცხი ჩემპიონთა ლიგაში მოვლენების სამწუხარო მსვლელობას დააბრალა. „უამრავი ტრავმა, უხეში შეცდომები, განსაკუთრებით შეტევის დამთავრებისას, აგრეთვე უიღბლობა — აი ჩვენი მარცხის მიზეზი. არ ვიტყოდი, რომ ჩვენი ჯგუფი სუსტი იყო. აქ გამოდიოდა უეფას თასისა და სუპერთასის მფლობელი „გალათასარაი“ და საფრანგეთის ჩემპიონი „მონაკო“. ბოდიშს ვიხდი შოტლანდიელი გულშემატკივრების წინაშე ამ მარცხისათვის. ახლა დაკარგულს უეფას თასზე ავინაზღაურებთ. ჩვენს კლუბს თამამად შეუძლია ეს საპატიო ჯილდო „აიბროკსის“ სტადიონზე მოიპოვოს. ჩვენთვის სამაგალითო „გალათასარაის“ წარმატებები იქნება.



ადვოკაატი სულაც არ აპირებს თავისი სურვილით გადადგომას. „კლუბთან კონტრაქტის არც ერთი პარაგრაფი არ დამირღვევია, არც ჩემი მოწინააღმდეგეების გახარება მინდა. ახლა შუა სეზონში რომ გადავდგე, ეს „რეინჯერსს“ სიკეთეს კი არა, მხოლოდ დამატებით სიძნელეებს მოუტანს. ახლა იმაზე კი არ ვფიქრობ, შემდგომში სად უნდა ვიმუშაო, არამედ გუნდის შემადგენლობის გაძლიერების საკითხები მაღელვებს.

როგორც ცნობილი გახდა, „რეინჯერსი“ აპირებს რამდენიმე ცნობილი ოსტატის მიწვევას. ესენია: თავდამსხმელი აბუბაქარ „ტიტი“ კამარა, რომელიც ვერა და ვერ ხვდება „ლივერპულის“ ძირითად შემადგენლობაში, ჰოლანდიელი მეკარე ოსკარ მუნსი, რომელიც ალკმარის ხელმძღვანელობას ვერ შეეგუა. ლაპარაკია „რეალის“ ნახევარმცველ სტივ მაკმანამანზე. ყველა მათგანს პირადად დიკ ადვოკაატი იწვევს. თუკი ჰოლანდიელ სპეციალისტს გაანთავისუფლებენ, არც ერთი მათგანი „გლაზგო რეინჯერსში“ არ გადავა.

დიკ ადვოკაატს შოტლანდიაში ამტყუნებენ, რომ იგი ექომაგება საზღვარგარეთელ ფეხბურთელებს, პირველ რიგში თავის თანამემამულე ჰოლანდიელებს და არ ენდობა ადგილობრივებს. ბევრი გულშემატკივარი კლუბში ულტერ სმითის დაბრუნებას მოითხოვს, რომლის ხელმძღვანელობით „რეინჯერსი“ ზედიზედ შვიდჯერ გახდა შოტლანდიის ჩემპიონი.

# აგარის შაქარმა ქართული სპორტის „დაატკბო“

*პირველი გვერდიდან*

ერთმა ხელმძღვანელმა გოჩა ძასოხოვმა განაცხადა, რომ ეს საწარმო ყველა მედალოსან ფალავანს ფულადი პრემიით დააჯილდოვებდა. ამ შესანიშნავმა ქველმოქმედმა ზემოხსენებული საწარმოს აქციონერებთან შეთანხმებით, 3-3 ათასი აშშ დოლარი ყველა ოლიმპიურ პრიზიორს გადასცა, ასევე ფულადი ჯილდო მიიღო მწვრთნელთა დიდმა ჯგუფმა, რომლებსაც წვლილი მიუძღვით ქართველ სპორტსმენთა წარმატებაში სიდნეიში.

ეს პროცედურა საზეიმო ვითარებაში შესრულდა სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში, სადაც შეიკრიბნენ დეპარტამენტის და ფედერაციების ხელმძღვანელები, ვეტერანი სპორტსმენები, ცხადია, თავად ოლიმპიური პრიზიორები.

დღეს ვერც ერთი შეკრება ვერ ჩაივლის, ქართული სპორტის ბედისადმი გულისტკივილის გამოხატვის გარეშე და არც ეს დღე ყოფილა გამონაკლისი. საგულისხმო იყო სააქციო საზოგადოება „ქართული შაქრის“ გენერალური დირექტორის კობა ძლიერიშვილის გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქართულ სპორტს თანადგომა ესაჭიროება, სააქციო საზოგადოება „ქართული შაქარი“ კი, ერთ-ერთი პირველია საქართველოში, რომელმაც ქართულ სპორტზე ზრუნვა მიზნად დაისახა. „ეს ეროვნული საქმეა. სპორტი მთელ მსოფლიოში მრეწველებზეა დამოკიდებული. კარგი იქნება, სხვებიც თუ მოგვბაძავენ“ — თქვა მან.

პარლამენტარმა ლევან თედიაშვილმა დასძინა, რომ საჭიროა საკანონმდებლო დონეზე გადაიჭრას ბიზნესმენთა მონაწილეობა სპორტში.

„დღეს ძნელია, საკუთარ ოჯახს მოაკლო და სოლიდური თანხა სპორტს შეწირო. აგარელებმა გვიჩვენეს თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მამულიშვილი“ ეს კარგი პრეცედენტი სისტემად უნდა იქცეს — თქვა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მურთაზ მნათობიშვილმა.

საგულისხმო იყო პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის დავით ციმაკურიძის გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოში ყველა ბიჭი ან მოჭიდავედ იბადება, ან ხელოვნად ან აკადემიკოსად.

გამოვიდნენ თვით ოლიმპიური მედალოსნებიც, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ქველმოქმედ ადამიანებს.

თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსმა ვლადიმერ კანკავამ კიდევ ერთხელ გაიხსენა, რომ თბილისის მერის ვანო ზოდელავას თაოსნობით მერიამ ექვსივე მედალოსანს შეუძინა საცხოვრებელი ბინა თბილისში. აღნიშნა ისიც, რომ „ქართულმა შაქარმა“ ჩვენს ათლეტებს ოლიმპიადის მზადების პროცესშიც გაუწია დახმარება.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ლერი ხაბელოვმა, რომელიც ამ შეკრებას უძღვებოდა, ბოლოს კიდევ ერთხელ ულრმესი მადლობა გადაუხადა სპონსორებს, ჩვენს სპორტსმენებს კი ახალი წარმატებები უსურვა მომავალ ოლიმპიურ თამაშებში.

# სამბისტები გენერლის მეგობარმა დააფინანსა

*პირველი გვერდიდან*

სებინა, რაზედაც დაუყოვნებლივ მიიღო თანხმობა.

აი ასე, სხვის ხელებში შემყურენი აღმოვჩნდით, ვინაიდან საქართველოში მოქმედმა ფირმებმა და ბიზნესმენებმა ვერც ამჯერად გაიმეტეს თანხა გუნდისათვის. ეგ კი არა, მანამდე სამბოს ეროვნულმა ფედერაციამ მისწერა საქართველოს პრეზიდენტს დახმარება აღმოეჩინა ჩვენთვის. პრეზიდენტმა ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს მიმართა შემდეგი რეზოლუციით: „აუცილებლად უნდა დავეხმაროთ, შემომთავაზეთ წინადადება“.

ამ რეზოლუციის შემდეგ შევხვდით ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ვასილ გიგოლაშვილს, რომელმაც განგვიცხადა: პრეზიდენტის სახელზე მოვამზადებთ წერილს, რომ პრეზიდენტის აპარატის ფონდიდან მოხდეს თქვენი დაფინანსება.

საქმე ისაა, რომ შეჯიბრებაზე ღირსეულად გამოსასვლელად სათანადო მომზადებაცაა საჭირო, ამიტომ მივმართეთ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ ლერი ხაბელოვს და ვუთხარით, რომ თუ პრეზიდენტის ფონდიდან მოხდება რაიმე დაფინანსება, იმ თანხით ჩაგვეტარებინა სასწავლო-საწვრთნო შეკრება ნაკრების უკეთ მოსამზადებლად.

დაიმედებულნი ვიყავით, რომ ფინანსთა სამინისტრო დავალებას გულისხმიერად მოეკიდებოდა და ფედერაციას თანხას გამოგვიყოფდა. „შევარდენის“ კომპლექსში დავიწყეთ შეკრება. ამ საზოგადოებას ფედერაციამ წერილით მიმართა, რომ მოეცა ჩვენთვის საცხოვრებელი, კვება და აღუთქვა, რომ თანხას შემდეგ გადავუხდიდით. როგორც გამოირკვა, ფინანსთა მინისტრს გულთან არ მიუტანია პრეზიდენტის რეზოლუცია-დავალება და დღემდე არანაირი წინადადებით არ მიუმართავს მისთვის. ახლა გზაზე ვდგევართ და არა გვცალია, რომ ფინანსთა მინისტრს ვედავოთ ამ საკითხის მოსაგვარებლად. რომ ჩამოვალთ, თუ კვლავ მოუგვარებელი დაგვხვდა თანხის გამოყოფის საკითხი, ალბათ ფედერაცია ადექვატურ ზომებს მიიღებს პრეზიდენტის დავალების შესასრულებლად.

ამ ვალის გადახდა ფედერაციას არ ძალუძს — მას თეთრიც არ გააჩნია. ან რა ზნეობაა შენს გუნდს სხვა ქვეყანა აფინანსებდეს, შენ კი სპორტსმენების გამოსაკვებადაც არ შეიწუხო თავი? ჩემპიონატზე მოპოვებულ მედლებს იქ ხომ არ დავტოვებთ, — საქართველოში ჩამოვიტანთ.

ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით მიემგზავრება კიევში: 57 კგ. თამაზ ნეფარიძე, 62 კგ თემურ ნეფარიძე, 68 კგ. არჩილ ჩოხელი, 74 კგ. ლევან ანთაძე, 82 კგ. ნიკოლოზ ბაბილაშვილი, 90 კგ. გიორგი ჩადუნელი, 100 კგ. დავით ლილუაშვილი, +100 კგ. ჯამბულ ქამხაძე. გუნდს მიჰყვება ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ექვთიმიშვილი, მწვრთნელი ოლეგ იაძე, მსაჯი ემილ რაში.

როგორც ხედავთ, საქართველოს ნაკრები გაახალგაზრდავებულია, მას გამოაკლდა 5 მსოფლიო ჩემპიონი. კერძოდ: მამუკა კურდღელაშვილი და ჯონდო მუზაშვილი სხვა ქვეყნების შესაბამისად ავსტრალიისა და საბერძნეთის სახელს დაიცავენ, იოსებ ახალბედაშვილმა და ბადრი ჯანიაშვილმა ხელმოკლეობის გამო დროებით თავი დაანებეს ვარჯიშს, ხოლო გუნდის ლიდერი ივანე გამხიტაშვილი შარშან ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მათი ადგილი დაიკავეს ახალგაზრდა, პერსპექტიულმა მოჭიდავეებმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა ახალგაზრდათა შორის. რა თქმა უნდა, მედლებისათვის ბრძოლა გაუძნელდებათ, მაგრამ ვიმედოვნებთ, მაინც კარგად გამოვლენ. 2-3 მედალი რომ მოვიპოვოთ, ამ გუნდისათვის წარმატება იქნება.

დასასრულ, სამბოს ეროვნული ფედერაცია მადლობას უხდის ბატონ ჯონი ფირცხალაიშვილს, რომლის მეშვეობითაც მივემგზავრებით ჩემპიონატზე, ასევე მადლობა უნდა ვუთხრათ კასპის რაიონის გამგებელ გელა ქვრივიშვილს თავისივე სპორტსმენის ჯამბულ ქამხაძის დაფინანსებისათვის.

**ოლეგ იაძე,**
**საქართველოს სამბოს ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი.**

# ძლიერთა ტურნირი ფალავანთა კლუბში

ფალავანთა კლუბმა საქართველოს აბსოლუტურ ჩემპიონატს უმასპინძლა კიოკუშინ კარატეში, სადაც საქართველოს 25-მა უძლიერესმა სპორტსმენმა იასპარეზა — 1998 წლის „კავკასიის თასის“ გამარჯვებულებმა, საერთაშორისო ტურნირის „სტუდენტური დღეები — 2000“-ის ჩემპიონებმა და პრიზიორებმა, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილეებმა, რაღა თქმა უნდა, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონებმა. ასე რომ, ეს იყო ჭეშმარიტად ძლიერთა ტურნირი: განწყობას კიდევ უფრო ამაღლებდა ფალავანთა კლუბში შექმნილი საზეიმო ვითარება, კერძოდ, დარბაზი შთამბეჭდავად იყო გალამაზებული კომპანია „ჯთ მობილურის“ ტრანსპარანტებით და კიოკუშინ კარატეს სურათებით. ცხადია, იყო მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი.



შეჯიბრება ფედერაციის პრეზიდენტმა ავთანდილ შენგელიამ გახსნა. კატაში ახალგაზრდა მომქმედ სპორტსმენებთან ერთად გამოცდილმა ვეტერანმა ჩემპიონმა, ახლა უკვე ინსტრუქტორმა ანზორ ჩუბინიძემაც იასპარეზა, რომელმაც ბევრ სპორტსმენს მისცა მაგალითი და აამაღლა კატაში შეჯიბრების მონაწილეთა იმიჯი, რაც შეეხება კუმიტეს (ბრძოლა), აქ ძლიერი სპორტსმენები ერთმანეთს აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ერკინებოდნენ.

აღსანიშნავია ახალგაზრდა სპორტსმენების დამაჯერებელი გამოსვლა, რომლებმაც თავიანთი პერსპექტიულობა გამოცდილი სპორტსმენების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოავლინეს. ფედერაციის გენერალური მდივნის ირაკლი დოლაბერიძის თქმით: „დავით გეჯაძისა და გიორგი მეხრიშვილის, დავით გეჯაძისა და ემზარ ნიქაცაძის, განსაკუთრებით კი ფინალური შეხვედრის სოსო კუნდუხაშვილისა და თამაზ ობოლაშვილის ორთაბრძოლები, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების, საერთაშორისო სტანდარტების სადარი შერკინებები იყო, რაც სპორტსმენთა ოსტატობის დონის ამაღლებაზე მეტყველებს“.

ყოველივე ეს კი განაპირობა საქართველოს კიოკუშინ კარატეს ფედერაციის მიერ, მიუხედავად მრავალი პრობლემისა, ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა სემინარებმა და შეჯიბრებებმა, როგორც ბავშვთა და მოზარდთა, ისე სტუდენტთა, აგრეთვე მოზრდილთა შორის.

***ახლა თვალი გადავავლოთ კვარცხლბეკს. კატა:*** 1. ანზორ ჩუბინიძე, 2. გიორგი პონომარიოვი (ორივე — თბილისი), 3. არტურ უსტიანი (ბათუმი).

***კუმიტე:*** 1. იოსებ კუნდუხაშვილი (თბილისი), 2 თამაზ ობოლაშვილი (მარტყოფი), 3. დავით გეჯაძე (თბილისი) და ჯუმბერ კაკულია (ბათუმი).

გამარჯვებულები ძვირფასი თასებით, მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. შეჯიბრება 2001 წლის ევროპის ჩემპიონატისათვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო, რომელიც აპრილში ქ. მადრიდში გაიმართება. მანამდე, ფედერაციის ხელმძღვანელობა, კომპანია „ჯთ მობილურთან“ ერთად საერთაშორისო ტურნირის „კავკასიის თასი — 2001“ ჩატარებას გეგმავს, რომელსაც ტრადიციულად გაზაფხულზე მესამედ უმასპინძლებს თბილისი. რაც შეეხება წლევანდელ შეჯიბრებათა ციკლს, ფედერაცია სპორტის აკადემიის ჭიდაობის კათედრასთან ერთად, რომელთანაც მჭიდროდ თანამშრომლობს, აკადემიის პირველობით დაასრულებს 29 ნოემბერს ფალავანთა კლუბის დარბაზში.

**კახა ყაულაშვილი,**
**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის II კურსის სტუდენტი.**



ტურნირის ყველა მონაწილე

ი. კენჭოშვილი, 3. ს. მკრტიჩიანი და გ. ინასარიძე (სამივე – თბილისი); ***48 კგ:*** 1. ლ. კაპანაძე (ჭიათ), 2. ლ. მაკალათია (ფოთი), 3. ვ. ხაზიშვილი (გორი) და გ. ხუხული (ფოთი); ***51 კგ:*** 1. ა. სუკასიანი (თბ), 2. ლ. ულრელიძე (ფოთი), 3 ლ. ლვამიჩავა (ფოთი) და გ. ხარმანაზაშვილი (თბ); ***54 კგ:*** 1. გ. აბრამიშვილი, 2. გ. ბრეგვაძე (ორივე – საჩხერე), 3. დ. გარუჩავა (ფოთი) და ლ. ქრისტესიაშვილი (თბ); ***57 კგ:*** 1. მ. კაპანაძე (ჭიათ), 2. ი. კელენჯერიძე, 3. დ. გურგენიძე (ორივე – თბ) და ი. ხურცილავა (ფოთი); ***60 კგ:*** 1. ს. ფილაჯიანი (გურჯ.), 2. ო. თედოლაური (ვარიანი), 3. სარიშვილი და ი. დუნდუა (ორივე – ფოთი); ***66 კგ:*** 1. გ. არდემანაშვილი (გორი), 2. ა. კაპანაძე (ჭიათ), 3. გ. გრიშიკაშვილი (თელავი) და ნ. ვეფხვაძე (რუსთ); ***69 კგ:*** 1. გ. ყაზახაშვილი, 2. გ. მამნიაშვილი (ორივე – თბ), 3. დ. ხიზანიშვილი და გ. ტარუაშვილი (ორივე – ვარიანი); ***73 კგ:*** 1. ვ. მაზიაშვილი (გორი), 2. ა. ჯიქია (ფოთი), 3. გ. ცერცვაძე, გ. ხურცილავა (ორივე – თბ); ***77 კგ:*** 1. ი. მეზვრიშვილი (გორი), 2. გ. გელაშვილი, 3. ი. ლიპარტელიანი (ორივე – თბ) და ვ.კენჭოშვილი (ქუთ); ***81 კგ:*** 1. ზ. მაზმიშვილი, (ვარიანი), 2. მ. მერკვილაძე (ზესტ)... ***+81 კგ:*** 1. ლ. დუგანიანი (თბ), 2. მ. ნინილაშვილი (თელავი), 3. ი. ჭანტურია და ვ. ნაროუშვილი (ორივე – ფოთი).

**რობერტ ყარსელი**

# მოჭიდავეთა დიდი თავყრილობა

საქართველოს პირველობა კრივში, რომელიც ამ დღეებში თბილისში ჩატარდა 1984-1985 წლებში დაბადებულთათვის, ასეთი მასობრივი ჯერ არ ყოფილა ბოლო წლებში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 141 წარმომადგენელი. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს:

***45 კგ:*** 1. ზ. პაპასკირი (სენაკი), 2.

## ხელბურთი საქართველოს ჩემპიონატი

# სტუ – „შევარდენს“ თავი ქუდში აქვს?

ვაქმა ხელბურთელებმა მეორე წრის მატჩებით დაამთავრეს ეროვნული ჩემპიონატის 2000 წლის მონაკვეთი, განახლებით კი ჩემპიონატი გაისად, აპრილში განახლდება. არდადეგებისწინა ტური თელავში ჩატარდა, სადაც ლიდერობა კვლავ სტუ-„შევარდენმა“ შეინარჩუნა, რომელსაც ჯერ არც ერთი შეხვედრა არ წაუგია და მთელი 11 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „მამულს“ — 19 ქულა. მესამე ადგილზეა „თბილისი“, რომელიც თავის მხრივ „მამულს“ სამი ქულით ჩამორჩება, მეოთხეა „მენავთობე“ — 15, მეხუთე — ასკ-6 გათამაშების ცხრილის ბოლოშია „მართვე“, რომელსაც აქტივში მხოლოდ ერთი მოგება აქვს.

მეორე წრის შეხვედრებში სტუ-„შევარდენმა“ მოუგო „მამულს“ — 39:28, „თბილისს“ — 45:25, „მენავთობეს“ — 55:49, „ასკ“-ს — 41:30 და „მართვეს“ — 39:28. „მამული“ — „მართვე“ 33:30, „მართვე“ — ასკ 36:32, „მენავთობე“ — „თბილისი“ 46:37, ასკ — „მამული“ 35:34, „მენავთობე“ — „მართვე“ 52:41, „თბილისი“ — ასკ 47:36, „თბილისი“ — „მართვე“ 34:25, „მამული“ — „მენავთობე“ 37:28, „მამული“ — თბილისი“ 27:24, „მენავთობე“ — ასკ 28:24,

ბომბარდირთა სიაში ლიდერობს ედნარ ქარცივაძე („მენავთობე“) — 116 გოლი, მეორე ადგილზეა აკაკი ტალახაძე („მართვე“) — 96.

„გაისად, გაზაფხულზე, 18-წლიანთა ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩებია. ჩვენი გუნდი იასპარეზებს რუმინეთში, სადაც ამ ქვეყნის, აგრეთვე ფარერებისა და მოლდოვას ნაკრებების წინააღმდეგ იბრძოლებენ ერთადერთი საგზურისათვის. ასეთივე ტურნირი მოელით 20 წლიანებს თურქეთში, სადაც მასპინძლებისა და ჩვენების გარდა იასპარეზებენ აზერბაიჯანელი და მოლდოველი ხელბურთელები“ — გვითხრა საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა თამაზ თევზაძემ.

**ც. ბაძრაძე**

## პროფესიული კრივის სამყაროში

# ლიუის-ტაისონის ირგვლივ ინტრიგა არ ცხრება

კრივის სამყარო მოუთმენლად ელის ამ ორთაბრძოლას და მის გარშემო ვნებათაღელვა თანდათან კულმინაციურ წერტილს უახლოვდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ადრე, „რკინის მაიკის" რინგზე გამოსვლამდე, უმრავლესობას ოდნავადაც არ აეჭვებდა ბრძოლის შედეგი – უცილობლად ტაისონი გაიმარჯვებდა (ეს ასეც ხდებოდა). ახლა მის უძლეველობას, რომ იტყვიან, წყალი შეუდგა.







პირველი სიმპტომი ის გახლავთ, რომ მისმა გამოსვლებმა, რომელიც ადრე უზარმაზარ შემოსავალს იძლეოდა, აშკარად დაკარგა ინტერესი. ეს მაშინ, როცა მისი უპირატესობის მთავარი კოზირი სწორედ მატჩების კომერციული მხარე იყო, რის გამოც უთქვამს კიდევაც: „ჰოლიფილდიცა და ლენოქსიც შესანიშნავი ბიჭები არიან, მაგრამ ბილეთების გაყიდვა არ შეუძლიათ, მე კი შემიძლია". და აი, მისმა აქციებმა შესამჩნევად დაიწია. ბოლო შეხვედრაზე პოლონელ გოლოტასთან ყველაზე ძვირადღირებული ბილეთების შეძენა 2500 $-ად კი არა, სულაც ათასხუთას დოლარად შეიძლებოდა...

ხალხი, რომ თავშეკავებულად ყიდულობდა ბილეთებს, მით უფრო საკვირველი იმით იყო, რომ ტაისონი კარგა ხანს არ გამოსულიყო ამერიკაში, წინა ორი შეხვედრა დიდ ბრიტანეთში ჰქონდა. გამოდის, სულაც არ მონატრებიათ იგი. აშკარა გახდა, ბრიტანელი ლიუისისა და ახალზელანდიელ ტუას მატჩმა ლას-ვეგასში მეტი მაყურებელი მიიზიდა.

რაც შეეხება ტაისონის გამოსვლას, მან ორმაგი შთაბეჭდილება დატოვა. გოლოტამ ადვილად გაუძლო მის პირველ დაწოლას, ეს იმას მოწმობს, რომ წინა ბრძოლაში სავარეზეს 12 წამში ნოკაუტი მაინც შემთხვევითი უნდა ყოფილიყო. მეორე მხრივ, უძლიერესი დარტყმა, რამაც გოლოტა ძირს დასცა, მოწმობს, ტაისონი კვლავინდებურად ყველასათვის სახიფათოა. და მაინც, სპეციალისტების აზრით, ტაისონს რამდენადმე დაკარგული აქვს სისწრაფე და მისი მოქმედება უმწეოდ დაშინებულ გოლოტას წინააღმდეგ, ნაკლებად ეფექტური იყო. მშიშარა ანჯეის ნაცვლად იგივე ლიუისი ან დევიდ ტუა რომ ყოფილიყო, საქმე რკინის მაიკისაკენ არ შემობრუნდებოდა.

ტაისონის მომავალი კვლავ ბურუსითაა მოცული. პოლონელთან შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე განაცხადა, ეს მისი უკანასკნელი ბრძოლაა, რაც ბევრმა მიიჩნია – ტაისონს ამით ბრძოლისადმი ინტერესის გაღვივება სურს, რადგან გვარიანად ჩამოუვარდებოდა ადრინდელს და შემოსავალსაც დაეტყო.

WBC-სა და IBF-ს ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონმა ლენოქს ლიუისმა კვლავ განაცხადა თავისი სურვილის შესახებ – შეხვდეს პრაქტიკულად ნებისმიერ დროს ტაისონს. ამის პასუხად რკინის მაიკის მენეჯერმა თქვა, რომ მას არ უნდა ცოტა ხანს მისი ხელქვეითის შეწუხება, ამას თვით ტაისონი გადაწყვეტს. იქნებ ყველაფერი ეს სარეკლამო თამაშია. გადაჭრით ძნელია რაიმე ითქვას, როცა ლაპარაკია მაიკ ტაისონზე.

# შოთა ბარნაბიშვილი



ქართული და თავისუფალი ჭიდაობის სახელოვან ვეტერანთა რიგებს 63 წლის ასაკში გამოაკლდა ღირსეული პიროვნება შოთა ბარნაბიშვილი.

როგორც ყველა კასპელმა, სპორტში პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ ყმაწვილმა ქართული ჭიდაობით გადადგა მშობლიურ სოფელ ბარნაბიანთ კარში. სოფელ ხასირეთის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში აგრძელებს სწავლას და პარალელურად ვარჯიშს იწყებს თავისუფალ ჭიდაობაში. ნიჭიერი ახალგაზრდა რამდენჯერმე გახდა საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი. სარბიელზე იგი გამორჩეული იყო საკუთარი ხელწერით. მისი ჭიდაობის ორიგინალურ სტილზე თაობები აღიზარდა.

ქართულ ჭიდაობასთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. როგორც თავისი საქმის ღრმა მცოდნემ, ქართული ჭიდაობის მესვეურთა ყურადღება იმთავითვე მიიპყრო და გარდაცვალებამდე სპორტის ამ ეროვნული სახეობის ფედერაციის წევრი იყო. იგი აღიარებული იყო მაღალი კვალიფიკაციის მსაჯად და მრავალგზის მიუნდვიათ სხვადასხვა ღონისძიებების მსაჯობა. არაერთხელ დაუმსახურებია საგანგებო პრიზი, სიგელი თუ სხვა ჯილდოები.

შოთა ბარნაბიშვილი ცხოვრებაშიც გამორჩეული პიროვნება იყო — ალალი, გულისხმიერი, საუკეთესო მეგობარი და მეოჯახე. მისი ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება იმ ადამიანთა გულებიდან, ვინც ამ დამსახურებულ და ღვაწლმოსილ კაცს პირადად იცნობდა.

**თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახური,**
**საქართველოს მოჭიდავეთა რეგისტრირებული საზოგადოება „რაინდი".**

პანაშვიდი 24 XI, 16 საათზე, დაკრძალვა 25 ნოემბერს 14 საათზე. მისამართი: თემქის დასახლება IV კვ. IV კორპ. II სად.

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა სამძიმარს უცხადებს სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" თავმჯდომარეს ნანა ბალაშვილს შვილისა და რძლის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

**სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" თანამშრომლები ღრმა სამძიმარს უცხადებენ ამავე საზოგადოების თავმჯდომარეს ნანა ბალაშვილს შვილისა და რძლის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

**თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახური ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" თავმჯდომარეს ნანა ბალაშვილს შვილისა და რძლის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

**სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" ჭიდაობის სკოლა ღრმა სამძიმარს უცხადებს ნანა ბალაშვილს შვილისა და რძლის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს ნანა ბალაშვილს შვილისა და რძლის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

# ბოლოს და ბოლოს, წავა?

აკადემიურ ნიჩბოსნობაში ერთადერთმა სპორტსმენმა, რომელმაც ზედიზედ ხუთი ოლიმპიადა მოიგო, 38 წლის სტივენ რედგრეივმა განაცხადა, რომ გადაწყვიტა წერტილი დაუსვას სპორტულ კარიერას. ინგლისელმა თამაშების ჩემპიონობა მოიპოვა ლოს-ანჯელესში, სეულში, ბარსელონაში, ატლანტასა და სიდნეიში წყვილთა და ოთხეულთა შორის. ორი წლის უკან რედგრეივს შაქრის დიაბეტი აღმოაჩნდა, არ შეუწყვეტია ვარჯიში, დღეში 6 ჯერ იკეთებდა ინსულინის ინექციას. ამ გადაწყვეტილების შესახებ სპეციალურ პრეს-კონფერენციაზე დაარწმუნა დამსწრენი, რომ ამჯერად აღარ გადათქვამს სიტყვას. საქმე ისაა, რომ 4 წლის უკან ატლანტაში გამარჯვების შემდეგაც თქვა, რომ სპორტიდან წასვლას აპირებს, მაგრამ შემდეგ კვლავ განაგრძო ვარჯიში და გამოსვლა.

# გაბათილებული რეკორდები



42 წლის ფრანგმა ველოსიპედისტმა ჟანი ლონგომ მეხიკოს მაღალმთიან ტრეკზე საათიანი რბოლის მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 44 და 501 მ და გააუმჯობესა ავსტრალიელი ანა უილსონის მიღწევა — 43 კმ 501 მ. შეგახსენებთ, წლეულს ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის ტექნიკურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება აიკრძალოს საათიანი მსოფლიო რეკორდების დამყარებაში ველოსიპედებისა და სხვა ეკიპირებაში სპეციალური აეროდინამიკური კონსტრუქციების გამოყენება და გააუქმა ამ საშუალებებით დამყარებული ადრინდელი მიღწევები. ჩამოიწერა ლონგოს სუპერმიღწევაც, რომელიც მან იქვე, მეხიკოს ოლიმპიურ ტრეკზე, ალბათ აეროდინამიკური კონსტრუქციებით, დაამყარა 1996 წელს — 48 კმ 159 მ.

*სურათზე: ჟანი ლონგო ასპარეზობისას.*

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**24 ნოემბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00, 21.00), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (13.20, 15.40), საერთაშორისო ტელეჟურნალი (15.10), ბრაზილიის (17.25, 1.20), შოტლანდიის (18.20), ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების (20.25), შოტლანდიის (21.15), გერმანიის (23.10) ჩემპიონატები და მიმოხილვა, ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (15.10), ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა. „ვალენსია" – „შტურმ გრასი" (18.00, 01.00). პსჟ – დეპორტივო (20.00, 05.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. უეფას თასი (17.00), თხილამურები, ტრამპლინი, მსოფლიო თასი (18.30, 19.00, 2.15, 2.45), რალი, მსოფლიო ჩემპიონატი (1.45, 4.00).

**25 ნოემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ქართული ჭიდაობა. საქართველოს ფალავნობა, რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან (18.00), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა (19.00), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00, 21.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15, 18.25), ევროპული ფეხბურთის (15.00), შოტლანდიის (16.35), ინგლისის (20.40) ჩემპიონატები და მიმოხილვა. იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატის მატჩი (23.25, 1.35), ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი (10.00, 19.00), ჩემპიონთა ლიგა. „ბაიერნი" – „ოლიმპიკი" (14.30, 01.30), იტალიის ჩემპიონატი, პირდაპირი რეპორტაჟი (23.00), ***EUROSPORT,*** თხილამურები: მსოფლიო თასი (13.00, 14.30), მსოფლიო თასი, ტრამპლინი (18.45, 2.15), სამთო-თხილამურები (21.00, 20.00, 23.00, 4.00).

**26 ნოემბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00, 21.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (12.25), ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (13.15, 1.35), იტალიის (15.00, 23.25), შოტლანდიის (16.55), ჩემპიონთა ლიგის (19.05), ინგლისის (19.55), ბრაზილიის (22.05), საფრანგეთის (22.45) ჩემპიონატი, ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი (06.30, 20.00), ჩემპიონთა ლიგა: მიმოხილვა (13.00), „სპარტა" – „არსენალი" (22.30), ***EUROSPORT.*** თხილამურები: სამთო (11.30, 12.00, 22.00, 3.00), რბოლა (13.00, 14.30, 21.00, 22.15), რალი. ფია. მსოფლიო ჩემპიონატი (1.45. 4.00).

## გაემგზავრებით არგენტინასა და გერმანიაში...

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა სპორტის ამ სახეობაში XX საუკუნის საუკეთესოთა წოდების პრეტენდენტების სია. გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად დადგინდება საუკეთესო ფრენბურთელი ქალი და ვაჟი, ქალთა და ვაჟთა გუნდების მწვრთნელები, აგრეთვე საუკუნის ორი (ქალთა და ვაჟთა) ნაკრები გუნდი. საუკუნის მწვრთნელის ტიტულის კანდიდატთა სიაშია სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი გივი ახვლედიანი (ქალთა ნაკრების მწვრთნელი).

საუკუნის ვაჟთა გუნდების წოდების პრეტენდენტთა შორისაა ვაჟთა ნაკრებები: 1978-1982 წლების სსრ კავშირის, 1989-91 წლების იტალიის, 1984-99-ის აშშ-ს, 1974-76-ის პოლონეთის, აგრეთვე 1988-92-ის საბჭოთა, 1992-2000-ის კუბისა და 1981-85-ის იაპონიის ქალთა გუნდები.

ამ გამოკითხვაში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს. ამისათვის 28 ნოემბრამდე უნდა გააგზავნოთ ფივბ-ს შტაბბინაში (ლოზანა) თქვენი არჩევანის სია, 6 კატეგორიაში ფოსტით, ფაქსით (8-10-41-21-345-3545) ან კენჭი უყაროთ ინტერნეტით შემდეგი მისამართით: www.fivb.org.Tex.

გამოკითხვის მონაწილეთ, რომლებიც გამოიცნობენ მომავალ გამარჯვებულებს, ელით პრიზები — გამგზავრება 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატებზე არგენტინასა და გერმანიაში.

## კროსვორდი №92



**თარაზულად:** 1. ქართველი ძალოსანი, 3. საქართველოს სპორტული მედიცინის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, 6. ტესტი, რომელსაც სპორტსმენები აბარებენ, 7. შედეგი სპორტულ თამაშებში, 9. ცნობილი ფრანგი სამთომოთხილამურე, 10. საკალათბურთო ატრიბუტი, 12. მოძრაობა ძალოსნობაში, 13. ილეთი სპორტში, 17. განდიკაპი სპორტში, 18. ინგლისის პირველი დივიზიონის საფეხბურთო კლუბი, 20. კლუბების გაერთიანება, 21. სპორტკლუბი საქართველოში, 22. საფეხბურთო კლუბი პორტუგალიაში, 23. ინგლისის პრემიერლიგის კლუბი.

**შვეულად:** 1. დუშეთის საფეხბურთო კლუბი, 2. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 3. ბორჯომის საფეხბურთო კლუბი, 4. ვლადიკავკაზის საფეხბურთო კლუბი, 5. ცნობილი საფეხბურთო მარშის ავტორი, 8. სახელგანთქმული ქართველი ფალავანი, 9. წარსულში სახელგანთქმული რუსი მძლეოსანი, 11. „რეალის" ფეხბურთელი, 14. შვეიცარიელი ფეხბურთელი, 15. ალპინისტების აღჭურვილობის ნაწილი, 16. შეჯიბრების დასაწყისი, 19. 50-იანი წლების ბრაზილიელი ფეხბურთელი.

### №91 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 2. სტადიონი, 6. ტალი, 8. ლოკო, 9. „იბერია", 12. როსი, 15. ლოთერი, 16. „დილა", 19. „ანცი", 21. დიდოსტატი, 23. კანოე, 24. კორეა, 26. ალექსანდრია, 31. ელინგი, 32. ნიკე. **შვეულად:** 1. ჩიბურდანიძე, 3. ტაიმი, 4. ილი, 5. აკვრა, 7. ლი, 10. ილეთი, 11. „გურია", 13. სალტო, 14. არანტა, 17. ლოტო, 18. ბიმონი, 20. შაკილი, 22. ტაისონი, 25. რინგი, 27. ეტლი, 28. როქი, 29. ასპე, 30. ალი.

## საჭადრაკო ამოცანა

**ო. მამულაშვილი**



**შამათი 3 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

**1. ლ:c5! 1. ...მფ:f4 2. ლe3X.**
**1. ...მd6 2. ლd4X**
**1. ...მ 2. ლc7X.**
**1. ...h5 (h6) 2. მg6X.**

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩიჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.